

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს



ბრძანებათა და ინსტრუქციათა

171  
968

**კრებული**

**СБОРНИК**

**ПРИКАЗОВ И ИНСТРУКЦИЙ**

*Министерства просвещения Грузинской ССР*

**9-10**

სექტემბერი—ოქტომბერი

**საგარეო მინისტროს სსრ განათლების სამინისტროს 1968 წ.  
27 სექტემბრის ბრძანება № 588**

**ვლადიმერ ილიას ძე ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის  
მზადების შესახებ**

1970 წლის აპრილში კომუნისტური პარტია, საბჭოთა ხალხი, მსოფლიოს ყველა ქვეყნის მშრომლები აღნიშნავენ ვლადიმერ ილიას ძე ლენინის დაბადების 100 წლისთავს.

ლენინის სახელთან განუყრელად არის დაკავშირებული მთელი თანამედროვე ისტორია. ლენინი მარქსისა და ენგელსის რევოლუციური მოძღვრების გენიალური განმგრძობი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დამაარსებელი, დიდი სოციალისტური რევოლუციის ბელადი და მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს მშენებელია. ლენინურმა იდეებმა უდიდესი ზემოქმედება მოახდინეს და ახდენენ მსოფლიო განვითარების მთელ მსვლელობაზე.

ვლადიმერ ილიას ძე ლენინის სახელი უკვდავია, ისევე როგორც უკვდავია მისი იდეები, როგორც უკვდავია მისი საქმენი. ვ. ი. ლენინმა მთელი თავისი ცხოვრება მოახმარა პროლეტარიატისადმი, მშრომელი მასებისადმი სამსახურის საქმეს, მსოფლიოს რევოლუციურ განახლებას. მისი ხელმძღვანელობით ჩვენი პარტია გაუძღვა მუშათა კლასს, ყველა მშრომელს ექსპლოატატორული წყობილების დამხობისათვის, უკეთესი ცხოვრებისათვის, სოციალიზმისათვის საბრძოლველად.

ლენინისთან არის დაკავშირებული მეოცე საუკუნის უდიდესი რევოლუციური მიღწევები—დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია, რომლითაც დაიწყო ახალი ეპოქა კაცობრიობის ისტორიაში, სოციალიზმის მსოფლიო სისტემის შექმნა, გრანდიოზული განმათავისუფლებელი ბრძოლები და გამარჯვებანი, რომლებიც მუშათა კლასისა და მშრომელებმა, კავშირითა და ერთობაშიაშიაში დაიწყეს. ლენინის სახელი უკვდავად დარჩება რევოლუციების, სო-



ციალიზისა და პროგრესის სიმბოლო, მსოფლიოს გარდაქმნის სიმბოლო.

ლენინი ისტორიაში შევიდა როგორც პროლეტარულ რევოლუციისა და მსოფლიო სოციალისტური გარდაქმნის გენიალური თეორეტიკოსი. ლენინიზმი ახალი ისტორიული ეპოქის, იმპერიალიზმისა და პროლეტარული რევოლუციების, კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე კაცობრიობის გადასვლისა და კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის ეპოქის მარქსიზმია. ლენინიზმი რევოლუციური აზრისა და რევოლუციური მოქმედების მარად მჩქეფარე წყაროა.

ვ. ი. ლენინი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა ახალგაზრდობის კომუნისტურ აღზდას, მის აქტიურ მონაწილეობას რევოლუციურ ბრძოლასა და ახალი საზოგადოების მშენებლობაში. იგი ხაზს უსვამდა თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ჩავუნერგოთ ახალგაზრდობას რევოლუციური მსოფმხედველობა, ავითვისებინოთ უფროს თაობათა უდიდესი გამოცდილება, ვასწავლოთ გადააქციოს კომუნიზმში პრაქტიკული მუშაობის სახელმძღვანელოდ. ლენინი ამბობდა, რომ ახალგაზრდობას წილად ზედა უდიდესი, კეთილშობილური, მაგრამ სამაგიეროდ ძნელი ამოცანა—სოციალიზმისათვის ბრძოლის ამოცანა. იგი წერდა, რომ ჩვენს მიერ დაფუძნებულ სოციალისტური საზოგადოების შენობას კიდევ უფრო ბეჯითად ააშენებენ ჩვენი შვილები. ქალიშვილებისა და ჯაბუკებისადმი მიმართული მგზნებარე ლენინური მოწოდება „გააძლიერეთ, ახალგაზრდა ამხანაგებო, თქვენი მუშაობა იმ მიმართულებით, რათა მჩქეფარე ახალგაზრდული ძაღღონით მოჰკიდოთ ხელი ახალი, ნათელი ცხოვრების მოწყობას“.

იწყებს რა შეგნებულ ცხოვრებას, ახალგაზრდობა პარტიის ხელმძღვანელობით მიჰყვება მამების გზას, განაგრძობს რევოლუციურ ტრადიციებს, ამრავლებს ჩვენი საზოგადოების მატერიალურ და სულაერ სიმდიდრეს. კომუნისტური პარტია, საბჭოთა ხალხი ამყობენ ლენინური კომკავშირის გმირული ნახევარსაუკუნოვანი ისტორიით, ჩვენი ახალგაზრდობის სახელოვანი საქმეებით, რომელმაც რევოლუციური ბრძოლისა და სოციალისტური მშენებლობის ყველა ეტაპზე გამოიჩინა უსაზღვრო ერთგულება კომუნისმის იდეებისადმი. პარტიის ხელმძღვანელობით ლენინური კომკავშირი ახალგაზრდა თაობებისათვის საზოგადოებრივი ცხოვრების, პოლიტიკური წრთობის, კომუნისტური აღზრდის შესანიშნავი, სკოლა გახდა.

დიდი ბელადის ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის მზადების დღეებში საბჭოთა მასწავლებლები განსაკუთრებულ მონდომებით იღწვიან სახალხო განათლების დარგში სკკპ. X III ყრილობის, სრულიად საკავშირო და საქართველოს მასწავლებელთა III ყრილობის გადაწყვეტილებათა—მოსწავლე ახალგაზრდობის მეცნიერებათა საფუძვლების მტკიცე ცოდნით შეიარაღებისა და კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდის განსახორციელებლად.

მსოფლიოს მშრომელთა გენიალური ბელადის ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის ღირსეულად მომზადებისათვის

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. მოწონებულ იქნას ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის თემატური გეგმა საიუბილეო ექსპოზიციისა.

2. დამტკიცდეს საიუბილეო საორგანიზაციო კომიტეტი შემდეგი შემადგენლობით:

თ. ლაშქარაშვილი—საქართველოს სსრ განათლების მინისტრი (თავმჯდომარე)

მ. ქოჩაკიძე—საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მოადგილე

დ. ჯავახია—საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველოს უფროსი

ნ. ლალიძე—საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი

ვ. ჩინჩალაძე—საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველოს უფროსი

დ. ლორთქიფანიძე—საქართველოს სსრ პედაგოგიური საზოგადოების პრეზიდენტი

გ. ფოფხაძე—საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს პედაგოგიკის საკვლევო-სამეცნიერო ინსტიტუტის დირექტორი

თ. ზახაშვილი—საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის დირექტორი

ხ. ბერულავა—გამომცემლობა—„ცოდნის“ დირექტორი

ტ. ტყემალაძე—საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სახელმძღვანელოების განყოფილების უფროსი

ლ. თვაური—საქართველოს სსრ განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის მდივანი

- თ. ევაძე—ქ. თბილისის განათლების განყოფილების გამგე  
 ნ. შველიძე—გაზეთ „სახალხო განათლების“ რედაქტორი  
 გ. საჯაია—ეურნალ „სკოლა და ცხოვრების“ რედაქტორი  
 3. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროს

მა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონებისა და ქალაქების განათლების განყოფილებებმა:

ა) ფართოდ გაშალონ პოლიტიკური და ორგანიზაციული მუშაობა ვ. ი. ლენინის დაბადებიდან 100 წლისთავის იუბილეს მოსამზადებლად, განიხილონ იგი როგორც საერთო პარტიული, საერთო სახალხო საქმე, განუხრელად იხელმძღვანელონ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებებით ვ. ი. ლენინის დაბადებიდან 100 წლისთავის შესახებ;

ბ) ვ. ი. ლენინის დაბადებიდან 100 წლისთავისათვის მზადება გამოიყენონ როგორც განსაკუთრებული მნიშვნელობის მოვლენა ახალგაზრდობის კომუნისტური სულისკვეთებით, ჰემმარიტი მოქალაქეობრივი შეგნებით აღზრდისათვის.

„არ არის იმაზე ამალგებული და კეთილშობილური, ვიდრე ბაძავდე ლენინს, თავდადებულად იბრძოდე საქმისათვის, რომელსაც მან სიცოცხლე მოახმარა...ცხოვრობდე, შრომობდე და იმარჯვებდე ლენინის სახელით“—სწორედ ეს აზრი, ეს მკაფიო და მართალი ფორმულა, რომელიც მოცემულია სკკპ ცკ დადგენილებაში ქვაკუთხედად უნდა დაედოს მოსწავლე ახალგაზრდობასთან მთელ მუშაობას;

გ) გენიალური ბელადის ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის ეს ორი სასწავლო წელი გამოცხადებული იქნას ლენინურ სასწავლო წლებად, რომ ერთიანად დაირაზმონ განათლების მუშაკები, პედაგოგიური კოლექტივები სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობის ხარისხის მკვეთრად გაუმჯობესებისათვის;

დ) შექმნან ვ. ი. ლენინის დაბადებიდან 100 წლისთავის ჩამტარებელი საორგანიზაციო კომიტეტები. შეიმუშაონ კონკრეტული გეგმები ამ ღირსშესანიშნავი თარიღის მოსამზადებლად და ორგანიზებულად ჩატარებისათვის. აღნიშნული გეგმები 10 ოქტომბრამდე წარმოუდგინონ რესპუბლიკურ საორგანიზაციო კომიტეტს;

ე) სკოლებში და საბავშვო დაწესებულებებში შექმნან საორგანიზაციო კომისიები, მოაწყონ მოხსენებები, საუბრები, კინოფილ-



საქართველოს  
ქრონიკა

მეგობრული ჩვენება და გამოუყენებელი დამტკიცებული თემატიკის მიხედვით;

ვ) ფართოდ გაშალონ სოციალისტური შეჯიბრება სასკოლო მშენებლობის ტემპების დასაჩქარებლად და ხარისხის ასამაღლებლად. უზრუნველყონ სასკოლო მშენებლობის ხუთწლიანი გეგმის ვადამდე აღრე—1970 წლის 7 ნოემბრამდე შესრულება.

განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ვ. ი. ლენინის დაბადებიდან 100 წლისთავისათვის აღებულ ვალდებულებებს—50 სასკოლო შენობის საინიციატივო მშენებლობის საქმეს. რათა აღნიშნული სკოლების მშენებლობა დამთავრდეს 1970 წლისათვის.

4. მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტმა (თ. ზახაშვილი) მასწავლებელთა დახელოვნების კურსების თემატიკაში ფართოდ გაითვალისწინოს ვ. ი. ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი მასალები.

5. პედაგოგიკის საკვლევო-სამეცნიერო ინსტიტუტმა გამოუშვას კრებული ვ. ი. ლენინი სახალხო განათლების შესახებ.

6. ვაზეთ „სახალხო განათლებისა“ (ნ. შველიძე) და ჟურნალ „სკოლა და ცხოვრების“ (გ. საჯაია) რედაქციებმა სისტემატურად გააშუქონ სკოლებსა და სკოლისგარეშე დაწესებულებებში ვ. ი. ლენინის დაბადებიდან 100 წლისთავისადმი მზადების მიმდინარეობის საკითხი.

7. რესპუბლიკურმა საორგანიზაციო კომიტეტმა, ადგილებიდან მიღებული გეგმების საფუძველზე, შეადგინოს გეგმა და 10 ოქტომბრამდე წარმოუდგინოს კოლეგიას.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო მოუწოდებს განათლების ყველა მუშაკს, პედაგოგიურ კოლექტივებს უკვდავი ბელადისა და გენიალური მოაზროვნის ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავს შეხვდნენ ახალი გამარჯვებებით სკკპ XXIII ყრილობის, სრულიად საკავშირო და საქართველოს მასწავლებელთა III ყრილობების გადაწყვეტილებათა განხორციელების საქმეში.

საქართველოს სსრ განათლების  
მინისტრი თ. ლაშქარაშვილი



თემების დასახელება	შ ი ნ ი ა რ ს ი	ჩვენების ფორმა	გამოცემა, ჩატარების პერიოდის განმარტება
1	2	3	4
<p>სახალხო განათლების ორგანიზაციის ლე- ნინური გეგმა</p>	<p><b>შესავალი განყოფილება</b></p> <p>3. ვ. ლენინის მიერ სოციალის- ტური საზოგადოების პირობებ- ში სახალხო განათლების შე- სახებ კ. მარქსისა და ფ. ენგელ- სის იდეების განვითარება</p> <p>3. ი. ლენინი სახალხო განათლე- ბის ორგანიზაციასთან დაკავ- შირებით მუშათა კლასის რე- ვოლუციურ მოთხოვნათა შე- სახებ</p> <p>3. ი. ლენინი კაპიტალიზმის დროს ბავშვებისა და ახალგაზრდობის მდგომარეობის შესახებ</p> <p>3. ი. ლენინი კულტურული რე- ვოლუციის შესახებ, მრავალ- ერთიან სახელმწიფოს პირობებ- ში სახალხო განათლების სის-</p>	<p>ფოტოექსპოზიცია, კინოფილმები, დიაფი- ლმები. ვ. ი. ლენინის და ნ. კ. კრუშჩევის შრომების შერჩევა (ოქტომბრის რევოლუ- ციის პერიოდამდე)</p>	<p>სკოლებში, საბავშვო დაწესებულებებში</p>

1

2

3

4



საქართველოს  
ეროვნული ბიბლიოთეკა

ტემის სოციალისტურად გარდა-  
ქმნის შესახებ, ბურჟუაზიული  
აღზრდიდან სოციალისტური,  
კომუნისტურისაკენ რევოლუ-  
ციური გზით გადასვლისა-  
თვის

3. ი. ლენინის მიერ მეფის რუსე-  
თის განათლების შინაარსისა  
და მეთოდების კრიტიკა

3. ი. ლენინი მეფის რუსეთში  
მოსწავლე ახალგაზრდობაში  
რევოლუციური მოძრაობის შე-  
სახებ

3. ი. ლენინის შრომები განათლე-  
ბის საკითხის შესახებ 1917  
წლამდე:

„გიმნაზიის მეურნეობანი და ვა-  
მისწორებელი გიმნაზიები“

„რაზე ფიქრობენ ჩვენი მინისტ-  
რები?“

სკოლებში, საბავშვო  
დაწესებულებებში



1	2	3	4
	<p>„სახალხო განათლების სამინისტროს პოლიტიკის საკითხისათვის“</p> <p>„მოსწავლეთა ნაციონალური შემადგენლობა რუსულ სკოლებში“</p> <p>„რანი არიან „ხალხის მეგობრები“ და როგორ ომობენ ისინი სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ“</p> <p>„კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში“</p> <p>„სოფლის ღარიბებს“</p> <p>„გაკორტების ნიშნები“</p> <p>„183 სტუდენტის ჯარისკაცად განწესება“</p> <p>„საშუალო სკოლის მოსწავლეებს“</p>	<p>გამოყენა</p>	

1	2	3
	<p>„რსდმპ II ყრილობაზე წარმო-              თქმული სიტყვა მოსწავლე              ახალგაზრდობისადმი დამოკი-              დებულების შესახებ“</p> <p>„სტუდენტთა მოძრაობა და თანა-              მედროვე მდგომარეობა“</p> <p>6. კ. კრუპსკაია „სახალხო განა-              თლება და დემოკრატია“ 1915              წელი</p> <p>3. ი. ლენინის მიერ საბჭოთა ხე-              ლისუფლების პირველ წლებ-              ში დადგენილებებისა და დეკ-              რეტების შემუშავება სახალხო-              განათლების შესახებ</p> <p>„რუსეთის ხალხთა უფლებათა              დეკლარაცია“, 1917 წელი</p> <p>„დეკრეტო“ განათლების სახელმწი-              ფო კომისიის დაფუძნების შე-              სახებ“, 1917 წელი</p>	<p>ფოტო და              იზო-ექსპოზიციები</p> <p>კინოფილმები</p>



1.

2

3

"დეარეტი ეკლესიის სახელმწიფო-საგან და სკოლის ეკლესიისა-გან გამოყოფის შესახებ", 1918 წლის 21 იანვარი

"დეარეტი სახალხო განათლების კომისიარიატის განკარგულებაში ყველა უწყების სასწავლო დაწესებულებებისა და სასწავლებლების გადაცემის შესახებ", 1918 წ. 2 აგვისტო

"ღებულება რსფსრ ერთიანი შრომითი სკოლის შესახებ

3. ი. ლენინის შეხედულებანი ილზრდისა და განათლების არსის შესახებ

3. ი. ლენინი ილზრდისა და განათლების ერთიანობისა და კომუნისტური პარტიის ამოცანების შესახებ

ფოტოექსპოზიცია


1	2	3
	<p>3. ი. ლენინი საბჭოთა მასწავლებლის შესახებ, ლენინური დოკუმენტები სოციალისტურ სახელმწიფოში განათლების ხასიათის შესახებ</p> <p>3. ი. ლენინი განათლების მნიშვნელობის შესახებ სახალხო მეურნეობის განვითარების საქმეში</p> <p>3. ი. ლენინის ნაწარმოებები:</p> <p>3. ი. ლენინის სიტყვა სრულიად რუსეთის ინტერნაციონალისტ-მასწავლებელთა ყრილობაზე, 1918 წ. 5 ივნისს</p> <p>3. ი. ლენინის სიტყვა სრულიად რუსეთის განათლების I ყრილობაზე, 1918 წ. 28 აგვისტოს</p> <p>3. ი. ლენინის სიტყვა სრულიად რუსეთის ინტერნაციონალისტ-მასწავლებელთა ყრილობაზე, 1919 წლის 18 იანვარი</p>	

1	2	3	
	<p>სკკპ (ბ) პროგრამა, განყოფილება „განათლება“</p> <p>პ. ი. ლენინის სიტყვა კომკავში- რის III ყრილობაზე „ხალგაზრ- დობის კავშირების ამოცანების შესახებ“</p> <p>„განსახკომის მუშაობის შესახებ“ „პროლეტარული კულტურის შე- სახებ“</p> <p>„ფურცლები დღიურიდან“ ლენინური მითითებანი სახალხო განათლების ორგანოების ხელ- მძღვანელობის შესახებ</p> <p>„განსახკომის მოღვაწეობის შესა- ხებ“</p> <p>პ. ი. ლენინის თანამებრძოლები: მ. ი. კალინინი, ნ. კ. კრუპსკა- იაი, ა. ვ. ლენინჩარსკი, ფ. ე. მერჯინსკი, სახალხო განათლე- ბის ლენინური ვეგმის ცხოვრე- ბაში გატარებისათვის აქტიური მებრძოლნი.</p>	<p>გამოთვნი სტენდი</p>	<p>სკკპ (ბ) პროგრამა, განყოფილება „განათლება“</p>

სკკპ (ბ) პროგრამა, განყოფილება  
„განათლება“

1	2	3
<p>სკოლამდელი აღზრდა — პირველი საფეხური საბჭოთა ადამიანის ფორმირებისა</p> <p>მოზარდი თაობის აღზრდისა და განათ- ლების დარგში ლენინ- ური პრინციპების ცხოვრებაში განხორციელება</p>	<p>ვ. ი. ლენინი ბავშვების მეგობარი მარქსიზმ-ლენინიზმი სკოლამდელი საოჯახო და კოლექტიური აღ- ზრდის შესახებ</p> <p>ნ. კ. კრუპსკაიას პედაგოგიური კონცეფცია სკოლამდელი აღ- ზრდის შესახებ</p> <p>ლენინური პრინციპები—აღზრდის სკოლამდელი სისტემის ფუნდა- მენტი</p> <p>ლენინური პრინციპები საყოველ- თაო-სავალდებულო პოლიტექ- ნიკური სკოლის შესახებ</p> <p>ბრძოლა წერა-კითხვის უცოდინ- რობასთან</p> <p>საბჭოთა განათლების სისტემის ძირითადი მიღწევები:</p> <p>განათლების დარგში ყველა მო- ქალაქის თანასწორობა, განათ- ლების მიღების სავალდებულობა ყველა ბავშვისა, მოზარდისა, კაბუჯისა და ქალიშვილისათვის</p>	<p>ფოტო-ექსპოზიცია</p>

სკოლებში, საბავშვო დაწესებულებებში



1	2	3	
	<p>უმაღლესი და საშუალო განათლების მიღების შესაძლებლობა ყველასათვის, უფასო სწავლება სახალხო განათლების სისტემის ყველა რგოლში.</p> <p>განათლების ყველა საფეხურისა და სკოლის ტიპების ერთიანობა და ურთიერთკავშირი.</p> <p>აღზრდისა და განათლების ერთიანობა, აღზრდისა და სწავლების დაკავშირება ცხოვრებასთან, შრომასთან, კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკასთან.</p> <p>განათლების შინაარსის მეცნიერული ხასიათი და მისი მუდმივი სრულყოფა თანამედროვე მეცნიერების, ტექნიკის, კულტურისა და ხელოვნების მიღწევების საფუძველზე. მოქალაქეთა მზარდი სულიერი მოთხოვნილებების სულ უფრო სრული დაკმაყოფილება</p>		

1

2

3

4



მარქსიზმ-ლენინიზმი, როგორც  
სასკოლო კურსის საგნების ვა-  
დაცემისა და სწავლების მეთოდ-  
ოლოგიური საფუძველი

ვიანთლებაში საბჭოთა პატრიო-  
ტიზმის პრინციპების შერწყმა  
სოციალისტური ინტერნაციო-  
ლიზმისა და სსრ კავშირის ნა-  
ციონალურ თავისებურებათა გა-  
თვალისწინებით

მშობლიურ ენაზე სწავლება და  
სასწავლო ენის თავისუფლად  
არჩევა

სკოლის, პიონერული და კომკა-  
ვშირული ორგანიზაციების მუ-  
შაობა ბავშვთა კომუნისტური  
მსოფლმხედველობით აღზრდი-  
სათვის: ვ. ი. ლენინის ცხოვ-  
რების, მოღვაწეობისა და შრო-  
მების შესწავლა; მუშათა კლა-

1	2	3	4
	<p>სისა და გლეხობის რეკოლუციურ, შრომით და საბრძოლო ტრადიციებზე მოსწავლე ახალგაზრდობის აღზრდა.</p> <p>განათლების ჰუმანური ხასიათი, რომელიც მიმართულია საბჭოთა ქვეყნის მოქალაქეთა ლენინის ინდერძითა და კომუნისმის მორალური კოდექსით აღზრდისაკენ.</p> <p>განათლების საბჭოთა ხასიათი, განათლების სისტემის დამოუკიდებლობა რელიგიური დაწესებულებისაგან</p> <p>სწავლების წარმართვა მეცნიერულ-ათეისტური მსოფლმხედველობის ფორმირებისათვის</p>		

1	2	3
	<p><b>ხასწავლო დაწესებულებებისა და მოხსენებთა რიცხვის ზრდა განათლების სისტემის სხვადასხვა რგოლში, მათ შორის ცალკეულ რესპუბლიკებში</b></p> <p>საბჭოთა მასწავლებელი და მისი როლი საბჭოთა საზოგადოებაში</p> <p>პარტიისა და მთავრობის ყურადღება სახალხო განათლების განვითარებისა და სრულყოფისადმი; სკკპ პროგრამა და პარტიის XXIII ყრილობა სსრ კავშირში სახალხო განათლების სისტემის შემდგომი განვითარების შესახებ</p> <p>სახალხო განათლების განვითარება საბჭოთა საქართველოში ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის, რესპუბლიკაში საინიციატივო მშენებლობის ხაზით აშენდება და მწყობრში ჩადგება 50 სასკოლო შენობა</p>	<p>საკავშირო მასწავლებელთა ყრილობის მასალები საქართველოს მასწავლებელთა III ყრილობის მ ა ს კ ე ბ ი</p>

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1968 წ.  
16 აგვისტოს ბრძანება № 498

სრულიად საკავშირო მასწავლებელთა ყრილობის მასალების  
შესწავლისა და პროპაგანდის შესახებ

ვანიჭებ რა უდიდეს სახელმწიფოებრივ მნიშვნელობას სრულიად საკავშირო მასწავლებელთა ყრილობას სკოლის მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების საქმეში

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ


1. სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოები, სკოლები, სკოლამდელი და სკოლისგარეშე დაწესებულებები საფუძვლიანად გაეცნონ სრულიად საკავშირო მასწავლებელთა ყრილობის მასალებს, თავიანთ მუშაობაში მტკიცედ იხელმძღვანელონ ყრილობის მიერ მიღებული მითითებებით და მოაწყონ ამ მასალების ფართო პროპაგანდა მშობლებსა და მოსახლეობას შორის.

2. სკოლების სამმართველომ 10 დღის ვადაში სახალხო განათლების ადგილობრივ ორგანოებს დაუგზავნოს ცირკულარულ-მეთოდური წერილი სრულიად-საკავშირო მასწავლებელთა ყრილობისა და საქართველოს სსრ მასწავლებელთა III ყრილობის მასალების გაცნობისა და პროპაგანდის შესახებ, საორიენტაციო თემატიკის თანდართვით.

3. მასწავლებელთა აგვისტოს თათბირებზე ფართოდ იქნეს განხილული საკითხები, რომლებიც ყრილობის მასალებიდან გამომდინარეობენ,

4. სამმართველო-განყოფილებებმა მეოთხე კვარტალის სამუშაო გეგმებში გაითვალისწინონ ის წინადადებანი, რომლებიც მიღებული იყო სრულიად-საკავშირო მასწავლებელთა ყრილობასა

და რესპუბლიკის მასწავლებელთა III ყრილობაზე და კონტრაქტის  
დააწესონ მათ შესრულებაზე.



**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს  
კოლეგიის 1968 წლის 8 აგვისტოს დადგენი-  
ლება.

საქართველოს სსრ განათლების  
მინისტრის მოადგილე **ი. ბეროზაშვილი**

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1968 წ.  
4 ივლისის ბრძანება № 427

რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლების  
სამხედრო ხელმძღვანელთა ერთთვიანი სასწავლო-მეთოდური  
შეკრებების ჩატარების შესახებ

§ 1

ზემდგომი ორგანოების დადგენილების შესაბამისად 1968  
წლის 10 ივლისიდან 1968 წლის 10 აგვისტომდე ქ. თბილისში  
ჩატარდეს საშუალო სკოლების სამხედრო ხელმძღვანელთა ერთ-  
თვიანი სასწავლო-მეთოდური შეკრება.

§ 2

სასწავლო მეთოდურ შეკრებებზე მოსავლინებელ სამხედრო  
ხელმძღვანელთა კონტინგენტი დამტკიცდეს (იხ. დანართი № 1).

§ 3

აფხაზეთისა და აჭარის ასრ განათლების მინისტრებმა,  
სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონებისა და ქალაქების  
განათლების განყოფილებათა გამგებმა:

- ა) დროულად და უკლებლივ მოავლინონ საშუალო სკოლების  
სამხედრო ხელმძღვანელები შეკრებაზე;
- ბ) შეკრებაზე მოვლინებულ სამხედრო ხელმძღვანელს ადგი-  
ლებზე მისცენ სამივლინებო ხარჯები (გზა ორივე მიმართულებით  
და დღიური).

§ 4

შეკრების უფროსად დაინიშნოს საქართველოს სსრ განათლე-  
ბის სამინისტროს სასკოლო ინსპექტორი ა. ა. ორახელაშვი-

ლი, ხოლო სასწავლო ნაწილის უფროსად მასწავლებელთა დახე-  
ლოვნების ინსტიტუტის კაბინეტის გამგე ამხ. ვ. ბ. ქუთათელაძე

განკარგობის  
სამინისტროს

§ 5

შეკრების უფროსმა (ამხ. ა. ორახელაშვილმა): ა) რესპუბლი-  
კის სამხედრო კომისარიატთან შეთანხმებით შეარჩიოს შეკრების  
ხელმძღვანელებისათვის საჭირო სამხედრო-პედაგოგიური კადრები;

ბ) უზრუნველყოს შეკრების პროგრამის მალალხარისხოვნად  
შესრულება;

გ) შეკრების მიმდინარეობის შესახებ პერიოდულად მოახსენოს  
საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს.

§ 6

მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტმა (ამხ. თ. ა. ზა-  
ხაშვილი):

ა) სათანადოდ მოაწყოს სამხედრო ხელმძღვანელების სადი-  
სლოკაციო პუნქტი ნორმალური ცხოვრებისა და მეცადინეობი-  
ბისათვის;

ბ) აღნიშნული ღონისძიება ჩაატაროს საქართველოს სსრ  
განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვის  
მიხედვით.

საქართველოს სსრ განათლების

მინისტრის მოადგილე უშ. ობოლაძე

**სამხედრო ხელმძღვანელთა სასწავლო-მეთოდურ შეკრებაზე  
ჩამოსულ მსმენელთა პირობების შესახებ**

1. სასწავლო-მეთოდური შეკრებები მუშაობას იწყებენ 1968 წლის 10 ივლისს.
2. სამხედრო ხელმძღვანელები უნდა გამოცხადდნენ ქ. თბილისში 1968 წლის 10 ივლისს დილის 9 საათზე, მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტში, პლენარის პროსპექტი № 178.
3. ჩამოსული სამხედრო ხელმძღვანელები იცხოვრებენ სკოლა-ინტერნატში.
4. კვება მსმენელების ხარჯზეა.
5. დაგვიანებით ჩამოსულები შეკრებაზე არ დაიშვებიან.
6. შეკრებაზე მოვლინებულს განათლების განყოფილება აძლევს ერთი თვის მივლინების ხარჯებს (გზა ორი მიმართულებით და დღიური 66 კაპ. X 30 დღეზე).

სკოლების ინსპექტორი ალ. ორახელაშვილი

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1968 წ.  
16 ივლისის ბრძანება № 443

რესპუბლიკის იმ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, რომლებშიც  
1968 წლის 1 სექტემბრიდან შემოღებული იქნება დაწყებითი  
სამხედრო მომზადება სამხედრო კაბინეტებისა და სამხედრო-სა-  
სწავლო იარაღების საწყობების მოწყობის შესახებ

შემდგომი ორგანოების დადგენილების შესრულების მიზნით  
ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. აფხაზეთისა და აჭარის ასრ განათლების მინისტრებმა,  
სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონების, ქალაქების  
განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) საშუალო სკოლების კაპიტალური და მიმდინარე რემონ-  
ტის ჩატარებისას პირველ რიგში გაითვალისწინონ სამხედრო კა-  
ბინეტებისა და სამხედრო-სასწავლო-იარაღების საწყობების მოწყო-  
ბა მოქმედი ინსტრუქციის მიხედვით;

ბ) სამხედრო კაბინეტების მოსაწყობად გამოყონ ფართობი  
ზომით არანაკლებ 50—60 კვ. მეტრისა და სათანადოდ მოაწყონ  
იგი, ხოლო სამხედრო-სასწავლო იარაღების საწყობისათვის —  
20—25 კვ. მ. ფართობის ოთახები;

გ) სამხედრო-სასწავლო იარაღების საწყობები უნდა მოაწყოს  
მოქმედი ინსტრუქციის შესაბამისად (ფანჯრები გამაგრებული  
უნდა იქნეს რკინის გისოსებით და ბაღურებით, კარები შექვილილი  
ლითონის ფურცლით, რომელიც დაიკეტება რამდენიმე საკეტით,  
ხოლო იატაკი, კედლები და ჭერი იქნება მტკიცე კონსტრუქციისა);

დ) იარაღების მოვლა-დაცვაზე პასუხისმგებელნი გახდონ  
სკოლების დირექტორები, სამნეო ნაწილის გამგეები და სამხედრო  
ბელმძღვანელები, რისთვისაც შემოიღონ საწყობების მიღება-გადა-  
ბარების დადგენილი წესები;

ე) მოხსენებითი ბარათი ამ ბრძანების შესრულების შესახებ ა/წლის 25 აგვისტომდე წარმოუდგინონ საქართველოს სსრ განათ-  
ლების სამინისტროს. განათ-  
ლებული  
მინისტროს

2. საშუალო სკოლების დირექტორებმა:

ა) 1966 წლის 15 აგვისტომდე არულ წესრიგში მოიყვანონ სკოლის საშუალო კაბინეტები და სამხედრო-სასწავლო იარაღების საწყობები;

ბ) გაატარონ ქმედითი ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველ-  
ყოფენ დაწყებით სამხედრო მომზადებაში მალაღბარისხიან მეცადი-  
ნობათა ჩატარებას და სამხედრო-სასწავლო იარაღების იმგვარად  
მოვლასა და შენახვას, რათაც განორიცილებული იქნება იარაღების  
დაზიანების, დაკარგვისა და გატაცების ყოველგვარი შესაძლე-  
ბლობა;

გ) სამხედრო-სასწავლო იარაღების საწყობების მიღება-ჩაბა-  
რება ბრძანებით დაავალონ სკოლის დარაჯებს და სისტემატური  
კონტროლი დააწესონ მათ მუშაობაზე.

3. ეთხოვოს საქართველოს სსრ სამხედრო კომისარიატს და  
საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტ-  
როს:

ა) სკოლებზე არ გასცენ სამხედრო-სასწავლო იარაღები და  
მათი შენახვის ნებართვა, ვიდრე სკოლაში იარაღის შენახვის საქმე  
სათანადოდ არ აქნება მოწესრიგებული და უზრუნველყოფილი  
საიმედო დაცვით;

ბ) დაავალონ ადგილობრივ სამხედრო კომისარიატებსა და  
მილიციის ორგანოებს, რათა სახალხო განათლების განყოფილებებ-  
თან ერთად ა/წლის 15 აგვისტომდე შეამოწმონ სამხედრო-სასწავ-  
ლო იარაღების მოვლისა და შენახვის მდგომარეობა და შემოწმების  
შედეგები განიხილონ კოლეგიების, სახალხო განათლების საბჭოე-  
ბისა და საჭირო შემთხვევაში აღმასკომების სხდომებზე.

გ) ვავალებ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს  
დაწყებითი სამხედრო მომზადების ინსპექტორს (ამხ. ა. ორახელა-  
შვილი) ქმედითი კონტროლი დააწესოს ამ ბრძანების შესრულებაზე  
და შემოწმების შედეგები პერიოდულად მომახსენოს.

საქართველოს სსრ განათლების

მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1968 წ.  
18 ივლისის ბრძანება № 450

„საოქტომბრო ლაშქრობის“ მონაწილე წითელკვადისმაძიებელ პიონერ მოსწავლეთა პირველი რესპუბლიკური ექსკურსია-კონფერენციის ჩატარების შედეგობისა და მეორე რესპუბლიკური ექსკურსია-კონფერენციის ჩატარების ღონისძიებათა შესახებ

აღვნიშნავ, რომ ტურისტული მატარებლით მოწყობილი „საოქტომბრო ლაშქრობის“ მონაწილე რესპუბლიკის პიონერ-მოსწავლეთა ექსკურსია-კონფერენცია მარშრუტით: თბილისი—სოხუმი—კიევი—ვოლგოგრადი ორგანიზებულად ჩატარდა.

ექსკურსია კონფერენციაში მონაწილეობდა რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონებისა და ქალაქების 198 სკოლის 304 პიონერ-მოსწავლე და მათი ხელმძღვანელები.

ექსკურსია-კონფერენციაზე შეჯამდა „საოქტომბრო ლაშქრობის“ შედეგები. კონფერენციაზე მოგზაურობის დროს წაკითხული იქნა 48 მოხსენება, რომლებიც გადაიცემოდა მატარებლის რადიოკვანძით.

კონფერენციის მონაწილეებმა დაათვალიერეს ქ. სოხუმი, კიევი და ვოლგოგრადი. მოეწყო შეხვედრები: სოხუმში—ტურისტული მატარებლით მოგზაურ ღონბასელ პიონერ-მოსწავლეებთან, ვოლგოგრადში—37-ე საშ. სკოლის მოსწავლეებთან, ვასილ კიკვიძის დივიზიის მებრძოლებთან. „საოქტომბრო ლაშქრობის“ მონაწილეებმა დაფნის გვირგვინებით შეამკეს კიევში ქართველ მებრძოლთა საფლავები, ვოლგოგრადში—მარადიული დიდების ობელისკი და მამაის ყორღანი. ვოლგოგრადსა და კიევში, მამაის ყორღანზე, საბრძოლო დიდების დარბაზში, სამგლოვიარო დროშებზე წითელკვადისმაძიებელთა მიერ ამოკითხულ იქნა სამამულო ომში დაღუპულ ქართველ მებრძოლთა 38 გვარი და მიმდინარეობს მუშაობა მათი სადაურობის დასადგენად.

ექსკურსია-კონფერენციაზე წაკითხული მოხსენებებიდან თქვენი შინაარსით გამოირჩეოდა მოხსენებები: „პირველი ლეგალური პარტიული უჯრედები“ (ტ. მახარაძე—ბათუმის 22-ე საშ. სკოლა); „სიღნაღის მაზრის გლეხთა გამოსვლები მენშევიკების ბატონობის პერიოდში“ (ლ. მენტეშაშვილი—სიღნაღის რაიონის მაჩხაანის საშ. სკოლა); „ოჩხამურიდან კრემლამდე“ (დ. მელაძე—ქობულეთის 1-ლი საშ. სკოლა); „ახალგაზრდული ორგანიზაცია „სპარტაკი“ წულუკიძეში“ (მ. ცაგარეიშვილი—სამტრედიის რაიონის დიდი ჯიხაიშის საშ. სკოლა); „სოფელი უღიმის დიად ოქტომბერს“ (ქ. მგალობლიშვილი, მახარაძის რაიონის მელიქედურის საშ. სკოლა); „კომკავშირული და პიონერული ორგანიზაციების პირველი უჯრედები თიანეთის რაიონში“ (ნ. ფილაური—თიანეთის რაიონის ზარიძეების 8-წლიანი სკოლა); „რამდენიმე ეპიზოდი ლანჩხუთის რაიონის წარსულიდან“ (მ. ლაბაძე—ლანჩხუთის 1-ლი საშ. სკოლა); „ტაბახმელიდან ჭკრაინამდე“ (ც. ქარქუსაშვილი—გარდაბნის რაიონის ტაბახმელის საშ. სკოლა); „ჩემი სურამი ძველად და ახლად“ მ. საძაგლიშვილი—ხაშურის რაიონის სურამის საშ. სკოლა (და სხვა).

უნდა აღინიშნოს ბავშვთა ცენტრალური საქსკურსიო-ტუ-რისტული სადგურის (დირექტორი ამხ. მ. ერისთავი) მუშაკთა ენერგიული მუშაობა „საოქტომბრო ლაშქრობის“ მონაწილე წითელკვალისმადიებელ პიონერ-მოსწავლეთა პირველი რესპუბლიკური ექსკურსია-კონფერენციის მომზადებისა და ჩატარების ორგანიზაციის საქმეში.

### გ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. „საოქტომბრო ლაშქრობაში“ მონაწილეობისა და ექსკურსია-კონფერენციაზე კარგად შესრულებული ნამუშევრების—ნარკვევების წარმოდგენისათვის დაჯილდოებულ იქნენ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სიგელით მოსწავლეები:

1. აბულაძე ნინო—მაიაკოვსკის ეგნატე ნინოშვილის სახელობის საშ. სკოლა
2. აბესალაშვილი ნანი—თერჯოლის რაიონის ჩხარის საშ. სკოლა
3. აბრამიანი აკობ—ახალქალაქის საშ. სკოლა
4. აგრბა აიდა—სოხუმის საშ. სკოლა

5. ბერიძე მარინე—ქუთაისის მე-3 საშ. სკოლა
6. ბიძინაშვილი პაულინა—თელავის 1-ლი საშ. სკოლა
7. ბერიშვილი ოთარ—გორის რაიონის მეჯვრისხევის საშ. სკოლა

სკოლა

8. გოგიჩაშვილი ალექსანდრე—ქარელის მე-2 საშ. სკოლა
9. გულისაშვილი თამარ—კასპის რაიონის ახალქალაქის საშ.

სკოლა

10. დავითაშვილი ზურაბ—თელავის მე-2 საშ. სკოლა
11. დევიდარიანი ქეთევან—ორჯონიკიძის პიონერთა და მოსწავლეთა სახლი

12. იმედაშვილი ნატო—მახარაძის რაიონის მელექედურის საშ. სკოლა

13. კანაშვილი ვალიდა—გურჯაანის რაიონის ვაზისუბნის საშ. სკოლა

14. კუხიანიძე ნინო—წყალტუბოს რაიონის პატრიკეთის საშ.

სკოლა

15. კუხალეიშვილი მზია—ბოლნისის საშ. სკოლა

16. კოჭორაძე ამირან—ბორჯომის საშ. სკოლა

17. კუტუზოვა გალია—ცხინვალის მე-5 საშ. სკოლა

18. კუხანოვა ტატიანა—სოხუმის საშ. სკოლა

19. ლობჯანიძე სოსო—ლაგოდეხის საშ. სკოლა

20. ლეთოდიანი რომან—ცაგერის საშ. სკოლა

21. მახარაძე ტარიელ—ბათუმის 22-ე საშ. სკოლა

22. მენთეშაშვილი ლია—სიღნაღის რაიონის ქვემო მაჩხაანის საშ. სკოლა

23. მელაძე დოდო—ქობულეთის 1-ლი საშ. სკოლა

24. მგალობლიშვილი ქეთევან—მახარაძის რაიონის მელექედურის საშ. სკოლა

25. მელაძე სვეტლანა—მცხეთის რაიონის ჩარდახის საშ. სკოლა

26. ნოვიკოვი ოთარ—გორის რაიონის მეჯვრისხევის საშ. სკოლა

27. ოთარაშვილი ნინო—დუშეთის მე-2 საშ. სკოლა

28. საძაგლიშვილი მანანა—ხაშურის რაიონის სურამის მე-2 საშ. სკოლა

29. ტულუში მარინე—საგარეჯოს რაიონის მანავის საშ. სკოლა

30. ტალახაძე ნაზი—გორის მე-8 საშ. სკოლა

31. ფილაური ნინო—თიანეთის რაიონის ზარიძეების 8-წლიანი სკოლა

32. ფანჩულიძე დალი—ჩხარის საშ. სკოლა (თერჯოლის რაიონი)

33. ქარქუსაშვილი ციციხო—გარდაბნის რაიონის ტაბახშელის საშ. სკოლა

34. ჩიქოვანი შალვა—აბაშის საშ. სკოლა

35. ჩარექიშვილი ირინე—თერჯოლის რაიონის ჩხარის საშ. სკოლა

36. ცაგარეიშვილი მანანა—წულუკის რაიონის გოჩა-ჯიხაიშის საშ. სკოლა

37. ცხადაია ბეჟან—ხობის მე-2 საშ. სკოლა

38. ძიძიგური მარინე—რუსთავის მე-18 საშ. სკოლა

39. ჭანიძე მაცვალა—ხულოს რაიონის რიყეთის საშ. სკოლა

40. ჭილაძე ქეთევან—საჩხერის რაიონის ჩიხრის საშ. სკოლა

41. ჭოველიძე ნუნუ — ცხინვალის რაიონის ძეწმის საშ. სკოლა

42. ჭუმბურიძე ნუგზარ—გორის მე-5 საშ. სკოლა

43. ხუციშვილი ციციხო—ასპინძის რაიონის ხიზაბავრის საშ. სკოლა

44. ჯაჭვაძე ალექსანდრე—თელავის მე-3 საშ. სკოლა

2. „საოქტომბრო ლაშქრობაში“ მონაწილე ნორჩ ტურისტ პიონერ-მოსწავლეთა პირველი რესპუბლიკური შეკრების მომზადებასა და ჩატარებაში აქტიური მონაწილეობისათვის დაჯილდოებულ იქნა სიგელებით პედაგოგები:

1. გოგიტაძე ვახტანგ ფეხლის ძე—ბათუმის რაიონის კირნათის საშ. სკოლა

2. გოგოლაძე ვალერი გიორგის ძე—ბორჯომის ალკჟერაიკომი

3. გვიგინეიშვილი ვენერა ალექსანდრეს ასული—ქობულეთის პიონერთა და მოსწავლეთა სახლის მასობრივი მუშაობის ორგანიზატორი

4. ხარატიშვილი ტარიელ—ლაგოდეხის რაიონის ნინიგორის საშ. სკოლა

5. თათარაშვილი ნანული დიმიტრის ასული—მცხეთის რაიონის ჩარდახის საშ. სკოლა
6. ქათამაძე მარია ვასილის ასული—სიღნაღის საშ. სკოლა
7. წერეთელი ნათელა ლავრენტის ასული—ბათუმის მე-6 საშ. სკოლის უფროსი პ/ხელმძღვანელი
8. ხაჭაპურიძე ირაკლი ალექსანდრეს ძე—თბილისის საექსკურსიო-სამოგზაურო ბიუროს დირექტორის მოადგილე
9. ლაბაძე თინა კონსტანტინეს ასული—ქიათურის 1-ლი საშ. სკოლა
10. დათაშვილი გიორგი პეტრეს ძე—ასპინძის რაიონის ხიზაბავრის საშ. სკოლა
11. ურუშაძე ლეილა შალვას ასული—ლანჩხუთის მე-3 საშ. სკოლა
12. მერაბაშვილი მერი იოსების ასული—თიანეთის საშ. სკოლის კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის ორგანიზატორი
13. აღუაშვილი როზა—გორის რაიონის კარალეთის საშ. სკოლა
14. ხაჩიძე ნელი მიხეილის ასული—კასპის მე-3 საშ. სკოლა
15. ბუცხრიკიძე ალექსანდრე ირაკლის ძე—თერჯოლის რაიონის ჩხარის საშ. სკოლა
16. სტეფანიანი ტიგრან მიხეილის ძე—ახალქალაქის საშ. სკოლა
17. ლეშჩენკო რაისა ბორისის ასული—ცხინვალის პიონერთა და მოსწავლეთა სახლი
18. თადეევა ნუნუ ვასილის ასული—ცხინვალის ალკკ რაიკომი
19. აფრიდონიძე ინეზა ვლადიმერის ასული—წყალტუბოს საშ. სკოლის უფროსი პიონერხელმძღვანელი
20. ფრუიძე აბელ ივანეს ძე—ცაგერის რაიონის ალპანის საშ. სკოლა
21. ჩაკვეტაძე არკადი ილარიონის ძე—ქუთაისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლე
22. გამგონიძე გიორგი გიორგის ძე—ბაშურის პიონერთა და მოსწავლეთა სახლის დირექტორი
23. ხოჭოლავა კლარა მიხეილის ასული—სამამულო ომის ვეტერანი—ექიმო
24. ვგნატაშვილი თინა დავითის ასული—ქარელის რაიონის რუისის საშ. სკოლა



25. ბეზარაშვილი მერი ზურაბის ასული—გურჯაანის ალკატრაიკომი
26. დარსაველიძე ნანული — კონსტანტინეს ასული—გორის რაიკომი
- მე-9 საშ. სკოლა
27. ეფსაია ზაირა ამბროსის ასული —წალენჯიხის ალკატრაიკომი
28. ნედოსპასოვა ჯღუბა ვიქტორის ასული—საგარეჯოს საშ. სკოლის კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის ორგანიზატორი
29. აბაშიძე თემური მემედის ძე—ხულოს ალკატრაიკომი
30. გიორგაძე მიხეილ იოსების ძე—ქ. თბილისის 130-ე საშ. სკოლის დირექტორი
31. ფრიდონოვა ლამარა ალექსანდრეს ასული—ქ. თბილისის მე-12 საშუალო სკოლა
32. რუხაძე ნათელა სერგოს ასული—ქ. ფოთის პიონერთა და მოსწავლეთა სახლის დირექტორი
33. ხუსკვიცაძე ელგუჯა პოლიკარპეს ძე—ზესტაფონის რაიონის კვალითის საშ. სკოლა
34. ხელაძე ნათელა ვლადიმერის ასული—მაიაკოვსკის რაიონის ეგნ. ნინოშვილის სახელობის საშ. სკოლა
35. სიფრაშვილი ბეჟან ამბროსის ძე—ლაგოდეხის პიონერთა და მოსწავლეთა სახლის დირექტორი
36. რეხვიაშვილი ლიანა ონოფრეს ასული—ბოლნისის რაიონის პიონერთა და მოსწავლეთა სახლის დირექტორი
37. ღლონტი ნოე კალენიკეს ძე—მახარაძის რაიონის მეღეჭედურის საშ. სკოლა
38. სახვაძე ნინო შალვას ასული—ორჯონიკიძის პიონერთა და მოსწავლეთა სახლის დირექტორი
39. ხომერიკი ანზორ აკაკის ძე—საქ. სსრ რადიო-მაუწყებლობის საბავშვო გადაცემათა რედაქტორი
40. კუხიანიძე ნინო დავითის ასული—თელავის № 1 საშ. სკოლა
41. კვანტალიანი ნელი გრიგოლის ასული—გარდაბნის რაიონის პიონერთა და მოსწავლეთა სახლის დირექტორი
42. ღონდაძე რუფა იანის ასული—საჩხერის საშ. სკოლა
43. ყუფარაძე მერი პავლეს ასული — წულუკიძის ალკატრაიკომი



- 44. ბუკია ნელი ნიკოლოზის ასული—ხობის რაიონის ნათლების განყოფილება
- 45. კალამანიდი ელზა გიორგის ასული—სოხუმის და მოსწავლეთა სახლის მხატვრული განყოფილების გამგე
- 46. ცხოვრებაძე დიმიტრი ალექსანდრეს ძე—რუსთავის პიონერთა და მოსწავლეთა სახლი
- 47. მიქაძე რუსუდანი ლევანის ასული—ბავშვთა საექსკურსიო-ტურისტული სადგური
- 48. ფირალიშვილი თინა გაბრიელის ასული—ბავშვთა საექსკურსიო-ტურისტული სადგური
- 49. ქიქოძე ელენე ნიკოლოზის ასული—ბავშვთა საექსკურსიო-ტურისტული სადგური
- 50. მანათაძე დალი პროკოფის ასული—ბავშვთა საექსკურსიო-ტურისტული სადგური
- 51. ნაცვლიშვილი ნანა ზაქარიას ასული—ბავშვთა საექსკურსიო-ტურისტული სადგური
- 52. ლისაგორსკაია ლილი ვლადიმერის ასული—ბავშვთა საექსკურსიო-ტურისტული სადგური
- 53. თარგამაძე ცისანა დავითის ასული—ბავშვთა საექსკურსიო-ტურისტული სადგური
- 54. გუგუნავა ნანა გიორგის ასული—ბავშვთა საექსკურსიო-ტურისტული სადგური
- 55. ერისთავი მზია ალექსანდრეს ასული—ბავშვთა ცენტრალური საექსკურსიო-ტურისტული სადგურის დირექტორი.

3. „საოქტომბრო ლაშქრობის“ მომზადებისა და ორგანიზებულად ჩატარებაში აქტიური მონაწილეობისათვის დაჯილდოვდნენ „სახალხო განათლების წარჩინებულის“ ნიშნით:

- 1. თუშაბრამიშვილი ლია მიხეილის ასული—ბავშვთა საექსკურსიო-ტურისტული სადგურის მეთოდისტი
- 2. გავაშელაშვილი ფატი ივანეს ასული—ბავშვთა საექსკურსიო-ტურისტული სადგურის მეთოდისტი
- 3. მიქაბერიძე ნათელა ლაზარეს ასული—ბორჯომის რაიონის ბაკურიანის საშ. სკოლის გეოგრაფიის მასწავლებელი
- 4. მწლის 15 ივლისიდან გამოცხადდეს კონკურსი: „მოვაწყეთ ვ. ი. ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი მუზეუმები და მოვამზადოთ საუკეთესო ნორჩი ექსკურსმძღოლები“.

სიული ცოდნის, პედაგოგიური, პოლიტიკური და ზოგადსაგანო-  
ნათლებლო მომზადების დონის სერიოზული ამაღლება. ზოგიერთი  
მასწავლებელი შემოქმედებითად არ ეკიდება თავის პრინციპულ  
ვერ ფლობს პედაგოგიურ ოსტატობას, მოკლებულია უნარს სწორად  
შეაფასოს მოსწავლეთა ცოდნა, ჩაუნერგოს მათ დამოუკიდებელი  
აზროვნებისა და შრომის ჩვევები.

სკოლების ხელმძღვანელები და განათლების ორგანოები არაიმ-  
ვიათად შემწყნარებლურ დამოკიდებულებას იჩენენ მასწავლებელთა  
სუსტი მუშაობისადმი, ბევრ სკოლაში ცალკეულ საგნებს არასპე-  
ციალისტები ასწავლიან. განათლების განყოფილებებში ზოგჯერ  
აწინაურებენ არასაკმარისი პედაგოგიური გამოცდილების მქონე  
მუშაკებს.

არის ნაკლოვანებანი მასწავლებელთა მომზადების საქმეშიც.  
ყველა უმაღლეს პედაგოგიურ სასწავლებელში არ წარმოებს საჭირო  
მუშაობა ახალგაზრდობის შერჩევისა და მომზადებისათვის. ჩა-  
რიცხვის დროს არ ითვალისწინებენ აბიტურიენტთა მიდრეკილებას  
პედაგოგიური საქმიანობისადმი. მთელ რიგ უმაღლეს სასწავლებ-  
ლებში, განსაკუთრებით საღამოს და დაუსწრებელ განყოფილე-  
ბებზე, სტუდენტები ყოველთვის ვერ იძენენ ღრმა ცოდნას პედა-  
გოგიური ციკლის საგნებში და ცალკეულ სპეციალურ დისციპ-  
ლინებში.

მომუშავე მასწავლებელთა პროფესიული დახელოვნების მე-  
თოდები და ფორმები გაუმჯობესებას საჭიროებენ; ზოგიერთი ქა-  
ლაქისა და რაიონის მეთოდური კაბინეტი არაა დამაკმაყოფილებლად  
მუშაობს, ხოლო მეთოდური კაბინეტების თანამშრომლებს ხშირად  
პირდაპირი დანიშნულებით არ იყენებენ. შინასასკოლო და სასკო-  
ლათაშორისო ღონისძიებანი, რომლებმაც ხელი უნდა შეუწყონ  
პედაგოგთა ოსტატობის ამაღლებას, ხშირად ფორმალურად ტარ-  
დება. მასწავლებელთა მომზადების ხარისხის ამაღლების საქმეში  
არასაკმაოდ მონაწილეობენ უმაღლესი სასწავლებლები.

ამჟამად მოქმედი საკურსო ღონისძიებათა სისტემა, რომელ-  
საც საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მასწავლებელთა  
დახელოვნების ინსტიტუტი ახორციელებს, ყოველთვის არ პასუ-  
ხობს გაზრდილ მოთხოვნებს და ცოდნის თანამედროვე დონეს;  
ინსტიტუტის ხაზით მასობრივი მოკლევადიანი მეთოდური სემინა-  
რების ჩატარების წესი გაუმჯობესებას საჭიროებს; ინსტიტუტის

მუშაობაში ნაკლებად არიან ჩაბმული წამყვანი სპეციალისტები  
მეცნიერებათა დოქტორები და კანდიდატები.

სადირექტივო ორგანოების მიერ მიღებული დადგენილებების  
შესასრულებლად,

### ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხ-  
რეთ ფსუთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების  
განათლების განყოფილებათა გაძვეებმა:

ა) აღმოფხვრან ნაკლოვანებანი პედაგოგიურ კადრებთან მუ-  
შაობაში, გაატარონ ქმედითი ღონისძიებანი კადრებთან მუშაობის  
არსებითად გაუმჯობესებისათვის სკოლის წინაშე სკკპ XXIII ყრი-  
ლობის მიერ დასახული ამოცანებისა და სკოლის შესახებ სკკპ  
ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს  
1966 წლის 10 ნოემბრის დადგენილების შესაბამისად;

ბ) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ სკოლების მაღალ-  
კვალიფიციურ მასწავლებელთა კადრებით დაკომპლექტებას, კად-  
რების სწორად შერჩევასა და გამოყენებას, მასწავლებელთა გაკვე-  
თილებით ნორმალურ დატვირთვას; აღკვეთონ მცირე რაოდენობის  
საათებზე მასწავლებლების დანიშნის შემთხვევები;

გ) არსებული წესის დაცვით სისტემატურად განიხილონ  
არადამაკმაყოფილებლად მომუშავე მასწავლებლების სამუშაოდან  
განთავისუფლების საკითხი მათი შეცვლის მიზნით უმაღლესი გა-  
ნათლების მქონე კვალიფიციური სპეციალისტებით;

დ) სერიოზული ყურადღება მიაქციონ მასწავლებელთა და სკო-  
ლის ხელმძღვანელთა კვალიფიკაციის ამაღლების საქმეს, მიიღწიონ  
იმას, რომ თითოეული მასწავლებელი და სკოლის ხელმძღვანელი  
სისტემატურად მუშაობდეს პროფესიული მომზადების დონის ასა-  
მაღლებლად, რუსთვისა და სრულყოფილად გამოიყენონ კვალიფიკა-  
ციის ამაღლების სხვადასხვა ფორმები; მეტი ყურადღება დაუთმონ  
მასწავლებელთა თვითგანვითარებით მუშაობას; შექმნან საიმისო  
პირობები, რათა თითოეული მასწავლებელი სისტემატურად მუ-  
შაობდეს თავის თავზე, იფართოებდეს მსოფლმხედველობას, ეც-  
ნობოდეს იმ მეცნიერების მიღწევებს, რომლის საფუძვლებსაც იგი  
ასწავლის, მუშაობის პრაქტიკაში იყენებდეს სწავლისა და აღზრდის  
საუკეთესო ფორმებსა და მეთოდებს;

შექმნან სათანადო პირობები, რათა ყოველი მასწავლებელი საფუძვლიანად ეცნობო ეს ახალ სასწავლო გეგმებს, პროგრამებს, სახელმძღვანელოებს და დამხმარე მეთოდურ ლიტერატურას.

ე) მიიღონ ზომები საქალაქო და რაიონული მეთოდური კაბინეტების მუშაობის გასაუმჯობესებლად და გადააქციონ ისინი მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და სკოლებში მეთოდური მუშაობის ორგანიზაციის დასაყრდენ რგოლად;

არსებითად გააუმჯობესონ მუშაობა მოწინავე პედაგოგიური გამოცდილების შესწავლა-გავრცელებისათვის; ფართოდ ჩააბან მასწავლებლები პედაგოგიურ კითხვაში, სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციებში; სკოლებში, რაიონულ, საქალაქო და რესპუბლიკურ ცენტრებში მოაწყონ მუდმივ მოქმედი გამოფენები მოწინავე მასწავლებლებისა და სკოლების მუშაობის შესახებ, განსაკუთრებით ახალი სასწავლო გეგმებსა და პროგრამებზე გადასვლასთან დაკავშირებით;

გ) გააუმჯობესონ კულტურულ-მასობრივი მუშაობა მასწავლებლებთან, განსაკუთრებით სოფელ ადგილებში, წარმართონ იგი სკოლის ამოცანებთან მჭიდრო კავშირში; მასწავლებელთათვის რეგულარულად ჩაატარონ ლექციები, მოხსენებები და საუბრები პედაგოგიურ, პოლიტიკურ და სამეცნიერო თემებზე;

ზ) ძირითადად გააუმჯობესონ სკოლების ინსპექტირება, მისცენ მას უფრო ქმედითი სახე; აამაღლონ სკოლების ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესებაზე; სისტემატურად შეისწავლონ და განიხილონ საკითხი არადაამაკმაყოფილებლად მომუშავე სკოლის ხელმძღვანელთა შეცვლის შესახებ; სკოლების დირექტორებად და მათ მოადგილეებად დააწინაურონ სათანადო განათლებისა და გამოცდილების მქონე მუშაკები, რომლებიც მაღალი ავტორიტეტით სარგებლობენ მასწავლებელთა შორის და შესწევთ უნარი თანამედროვე მოხონების დონეზე წარმართონ პედაგოგიური კოლექტივების მუშაობა სკოლის წინაშე მდგომი ახალი ამოცანების წარმატებით განხორციელებისათვის;

თ) განათლების სამინისტროს კოლეგიებსა და სახალხო განათლების საბჭოს სხდომებზე პერიოდულად განიხილონ მასწავლებელთა კადრებთან მუშაობის, მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების საკითხები და განახორციელონ ღონისძიებანი არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.



## 2. განათლების სამინისტროს მასწავლებელთა დახელოვნების

### ინსტიტუტმა (თ. ზახაშვილი):

ა) მასწავლებელთა და განათლების დარგის სხვა მუშაკების დახელოვნება წარმართოს სკოლის წინაშე მდგომი ახალი ამოცანების მოთხოვნილებათა შესაბამისად; კიდევ უფრო ფართოდ დაწერგოს პრაქტიკაში მასწავლებელთა ერთწლიანი დასწრებულ-დაუსწრებელი გადამზადების სისტემა; ინსტიტუტის საკურსო ღონისძიებათა ძირითად ფორმად მიიჩნიოს ორთვიანი კურსები წარმოებისაგან მოწყვეტით; კურსებზე უმთავრესად ჩააბას სოფლის-სკოლებისა და იმ ქალაქების სკოლების მასწავლებლები, სადაც უმაღლესი სასწავლებლები არ არის; მასწავლებლების დახელოვნების საქმეში მონაწილეობისათვის ფართოდ მიიზიდოს რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლების პროფესორები და მასწავლებლები;

ბ) მიიღოს ზომები სემინარებისა და პრაქტიკუმების მუშაობის ხარისხის ასამაღლებლად; მეთოდური სემინარები, თათბირები და მეცადინეობანი მომავალში ძირითადად ჩაატაროს ადგილებზე, აგრეთვე წერილობითი განმარტებების მეშვეობით მიაწოდოს მასწავლებლებს ახალი მასალები და რეკომენდაციები.

### 3. განათლების სამინისტროს კადრების განყოფილებამ (ი. კვაჭაძე) და მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტმა (თ. ზახაშვილი):

ა) სისტემატურად იზრუნონ მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტისათვის დაწესებული მასწავლებელთა გადამზადების გეგმის ხარისხოვნად შესრულებაზე;

ბ) შეუთანხმონ საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს ქალაქის მასწავლებელთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად რესპუბლიკის პედაგოგიურ ინსტიტუტებთან შესაქმნელი დახელოვნების სამთვიანი საღამოს კურსების ორგანიზაციის საკითხი და წარმოადგინონ ამ კურსების გეგმისა და გრაფიკის პროექტი რესპუბლიკის რაიონებისა და ზონების მიხედვით; ამასთან გაითვალისწინონ, რომ საკურსო ღონისძიებანი დახელოვნების ინსტიტუტთან და უმაღლეს სასწავლებლებში უნდა განხორციელდეს შეთანხმებული სასწავლო გეგმებისა და პროგრამების მიხედვით;

გ) ყველა ტიპის კურსების დამთავრების შემდეგ, ჩაატარონ გადამზადებულ პედაგოგთა ატესტაცია და შედეგები მოახსენონ სამინისტროს ხელმძღვანელობას;

დ) განათლების სამინისტროს საგეგმო-საფინანსო სამმართველოსთან ერთად (ა. კვაჭაძე) შეისწავლონ და წარმოადგინონ წინადადებანი საკავშირო ორგანოების წინაშე საკითხის დასაყენებლად მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის რეორგანიზაციის შესახებ ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის ტიპის მიხედვით.

**4. განათლების სამინისტროს საგეგმო-საფინანსო სამმართველომ (ა. კვაჭაძე) და კადრების განყოფილებამ (ი. კვაჭაძე):**

ა) დააზუსტონ ცალკეული სპეციალობების მიხედვით და დაწყებითი კლასებისათვის მასწავლებელთა კადრების მოთხოვნილება და მოამზადონ მოხსენება ამ საკითხებზე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტში წარსადგენად;

ბ) მოამზადონ განაცხადი საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროში წარსადგენად დასახელებულ ღონისძიებათა განხორციელებისათვის საჭირო ასიგნობათა და ხელფასის ფონდის გადიდების შესახებ;

გ) 1968 წლის 20 ივლისამდე მოამზადონ განაცხადი საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროში წარსადგენად 1969 წლის სახალხო მეურნეობის გეგმითა და ბიუჯეტის პროექტით საქალაქო და რაიონული მეთოდური კაბინეტებისათვის მეთოდისტების რიცხვის გადიდების შესახებ.

**5. განათლებას სამინისტროს კადრების განყოფილებამ (ი. კვაჭაძე):**

ა) გააძლიეროს მომთხოვნელობა განათლების ადგილობრივი ორგანოებისადმი მასწავლებელთა კადრების წმერჩევის, გამოყენებისა და აღზრდის საქმეში; განახორციელოს სისტემატური ღონისძიებანი რესპუბლიკის სკოლების მასწავლებელთა კადრების ხარისხობრივი შემაღენლობის გასაუმჯობესებლად; განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს განათლების დარგის ხელმძღვანელ კადრებთან მუშაობას და წარმოადგინოს წინადადებანი არაღამაკმაყოფილებლად მომუშავე სკოლების ხელმძღვანელთა, მეთოდური კაბინეტების, განათლების განყოფილებების მეთოდისტების, ინსპექტორებისა და გამგეების და მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის მუშაკთა სხვა სამუშაოზე გადანაცვლების შესახებ;

ბ) პერიოდულად მოახსენოს განათლების სამინისტროს ხელმძღვანელობას ამ ბრძანების შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

6. დასახელებული ბრძანება განხილული იქნას აფხაზეთისა და საქარის განათლების სამინისტროების კოლეგიების, სამხრეთ-დასავლეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა სახალხო განათლებისა და ყველა სკოლის პედაგოგიური საბჭოების სხდომებზე და დასახულ იქნას კონკრეტული ღონისძიებანი მასწავლებელთა კადრებთან გუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

7. კადრების განყოფილებამ (ი. კვაჭაძე) 1968 წლის დეკემბერში წარმოუდგინოს განათლების სამინისტროს კოლეგიას განსახილველად დადგენილების პროექტი სათანადო ღონისძიებებისა ამ ბრძანების შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1968 წლის 19 ივლისის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების  
მინისტრი **თ. ლაშქარაშვილი**

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1968 წ.  
19 ივლისის ბრძანება № 455

ცხაკაიას, ბორჯომის, სამტრედიის, გეგეჭკორის, აბაშისა და ხაშურის რაიონების სკოლამდელ დაწესებულებებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ

გავეცანი რა ცხაკაიას, ბორჯომის, სამტრედიის, გეგეჭკორის, აბაშისა და ხაშურის რაიონების სკოლამდელ დაწესებულებებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგებს, აღვნიშნავ, რომ დასახელებული რაიონების ბევრ საბავშვო ბაღში გარკვეული მუშაობაა ჩატარებული როგორც სასწავლო-აღმზრდელობითი საქმიანობის სწორად წარმართვის მიმართულებით, ასევე მატერიალური ბაზის განმტკიცებისა და ეზო-გარემოს მოწესრიგების მხრივ.

შემოწმებული რაიონებიდან ქ. ცხაკაიას №№ 1, 2, 3, 4, 6, 7 საბავშვო ბაღებში შედარებით უკეთესი მდგომარეობაა: კარგად არის დაყენებული სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა; აღმზრდელობითი უმეტესი ნაწილი დაუფლებულია „აღზრდის პროგრამას“ და ნაყოფიერ პედაგოგიურ მუშაობას ეწევა; მათ შორის გამოირჩევიან მ. კვანტალიანი, ნ. დგებუაძე, ლ. ადამია, ყ. მისაბაძიშვილი, ლ. ჟვანია, ლ. გეგენავა, კ. ლალუა. ეს აღმზრდელები სისტემატურად ადგენენ სამუშაო გეგმებს, გულმოდგინედ ემზადებიან მეცადინეობისათვის და უნარიანად იყენებენ სათანადო მეთოდებსა და ხერხებს.

მაგრამ ამავე რაიონის საბავშვო ბაღების უდიდეს ნაწილში, განსაკუთრებით სოფელ ადგილებში, ადგილი აქვს ნაკლოვანებებს. „აღზრდის პროგრამას“ კარგად ვერ არიან დაუფლებული ცხაკაიას რაიონის ხალიჩების საქსოვი ფაბრიკის საბავშვო ბაღის აღმზრდელები ფარულავა და შელია; № 6 საბავშვო ბაღის აღმზრდელები ტყეშუჩავა, გიგიბერია და გაბუნია; სოფელ გეგეთის ერთგვართიანი

საბავშვო ბაღის აღმზრდელი დ. სნიკიძე. გარდა ამისა, ზოგიერთი აღმზრდელი სათანადოდ არ ემზადება მეცადინეობისათვის, მუშაობის პროცესში არ იყენებს თვალსაჩინოებას (ცხაკაიას რაიონის ძველი სენაკისა და ნოსირის ჩაის ფაბრიკის საბავშვო ბაღებში).

აღმზრდელები ყურადღებას არ აქცევენ მეტყველების სისწორეს და ლექციას, ლაპარაკობენ მყვირალა ტონით (ცხაკაიას რაიონის № 2 საბავშვო ბაღის უფროსი ჯგუფის აღმზრდელი ჯგერენაია ვ.). ზოგიერთი აღმზრდელი ყურადღებით არ ეკიდება პროგრამით გათვალისწინებული მასალის სწორად განაწილებას. ზოგჯერ რამდენიმე მეცადინეობაზე გასავლელ მასალას მხოლოდ ერთ მეცადინეობაზე გადასცემენ. მაგალითად, ცხაკაიას რაიონის № 5 საბავშვო ბაღის უმცროსი ჯგუფის აღმზრდელმა შ. გაბუნიაშვილმა ლექსის „ნუ შეშინდი ია“-ს წაკითხვა და დასწავლა თითქმის ერთ მეცადინეობაზე დაამთავრა; მას არ ჩაუტარებია წინასწარი, მოსამზადებელი მუშაობა, რომელიც დაკვირვებას, ლექსის შინაარსის შესატყვისი შთაბეჭდილებისა და წარმოდგენის დაგროვებას და გასეირნების დროს გაუგებარი სიტყვების ახსნას ითვალისწინებს.

ნაკლოვანებები შეინიშნება აგრეთვე მშობლიური ენის სწავლებაში, განსაკუთრებით ლექსის დასწავლის დროს. გეგეჭკორის რაიონის სოფ. სალხინოს საბავშვო ბაღში მეცადინეობა მშობლიურ ენაში—სახელდობრ ლექსის კითხვა (რომელიც დაწერილია დიალოგების სახით და როლების მიხედვით უნდა განაწილებულიყო რამდენიმე ბავშვს შორის) სწორად არ ჩატარდა; აღმზრდელს მისი როლებად განაწილება არ მოუხდენია. ამასთან, ლექსი ბავშვებს გაამეორებინა არა ცალ-ცალკე, არამედ გუნდურად, მთელ ჯგუფს.

დარღვევებს აქვს ადგილი აგრეთვე თხრობის სწავლების მეთოდის მხრივაც. არის შემთხვევა, როდესაც აღმზრდელი ბავშვებს მათი ასაკისათვის შეუფერებელ, რთულ, პროგრამის გარეშე მოთხრობებს უკითხავს; გეგეჭკორის რაიონის სოფ. ვედიტკარის ჩაის საბჭოთა მეურნეობის ბაგა-ბაღის აღმზრდელ მ. ციკულიას სამუშაო გეგმაში შეტანილი აქვს მოთხრობა „უსუნო ყვავილი“ ი. გოგებაშვილის დედაენიდან.

ბაშის № 1 და № 2 საბავშვო ბაღის აღმზრდელებს თვალანგარიშში მეცადინეობის ჩასატარებლად არა აქვთ კონკრეტული მასალა.

ზოგიერთი აღმზრდელის მიერ წარმოებული აგეგმვა-აღრიცხვა მოკლებულია კონკრეტულობას, განსაკუთრებით არასწორადაა შედგენილი აგეგმვა-აღრიცხვა ბავშვის ჯგუფებში; არ ექცევა

ყურადღება ასაკობრივ თავისებურებებს, ხშირად უმცროსსა და უფროს ჯგუფებში ჩატარებული მეცადინეობა მშობლიურ ენაზე და გარემოს გაცნობაში, ან თვლა-ანგარიშში არაფრით სხვადება ერთმანეთისაგან.



შემოწმებული რაიონების საბავშვო ბალებში სწორად არ წარმოებს ბავშვთა მუსიკალური აღზრდა. გარდა სამტრედიის რაიონის სოფ. ილორისა და აბაშის რაიონის სოფ. ზანათის საბავშვო ბალებისა, ყველას აქვს მუსიკალური ინსტრუმენტი, დარბაზი და ჰყავს მუსიკის ხელმძღვანელი, მაგრამ ეს უკანასკნელი სწავლებას აწარმოებენ არასწორი მეთოდითა და ხერხებით. თავისი საქმის უცოდინარობას ამჟღავნებენ ცხაკაიას რაიონის სოფ. ძველი სენაკის მელიორეობის საბჭოთა მეურნეობის და სოფ. გეჯეთის № 2 საბავშვო ბალების მუსიკის ხელმძღვანელები. ისინი მუშაობაში არ აქცევენ ყურადღებას ასაკობრივ თავისებურებებს და მუსიკალური აღზრდის იმ ძირითად ამოცანებს, რასაც „აღზრდის პროგრამა“ ითვალისწინებს.

შემცველი აღმზრდელების მუშაობაც ფორმალურ ხასიათს ატარებს. ისინი მხოლოდ ზედამხედველების როლში გამოდიან. კარგად არ არის ორგანიზებული ბავშვების თამაშობანი და გართობანი; ბავშვები აღმზრდელის გარეშე და თავიანთი ნებასურვილით მოქმედებენ (სამტრედიის რაიონის სოფ. ილორის, დიდი ჯიხაიშის ბალები).

საბავშვო ბალების უმრავლესობაში ყურადღება არ ექცევა ჭამის კულტურას. ბავშვებს ეძლევათ პურის ისეთი დიდი ნაჭერი, რომ მათი ხელში ალება უჭირთ, არა აქვთ ხელსაწმენდები; არ იციან მადლობის გადახდა ჭამის შემდეგ (ცხაკაიას რაიონის სოფ. ნოსირის, გეჯეთის, მენჯის საბავშვო ბალები); არ ხდება მოძველებული პირსახოცების შეცვლა, ტანსაცმელის კარადებზე არ არის ნიშნები, ამიტომ მათი ინდივიდუალური ხმარებაც ვერ ხერხდება. ცხაკაიას რაიონის სოფ. მენჯის, გეჯეთის, ნოსირის საბავშვო ბალების შენობებში უსუფთაობაა, არ ექცევა ყურადღება ბავშვთა ჩაცმულობას, ჰიგიენას.

არც ერთი საბავშვო ბაღი არ არის უზრუნველყოფილი შესაბამისი ავეჯით; რაც აქვთ ისიც მოძველებულია და თანამედროვე მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს. ცხაკაიას რაიონის მენჯის ერთ-ჯგუფიან საბავშვო ბაღში, რომელიც დაფნის საბჭოთა მეურნეობის მუშა-მოსამსახურეთა ბავშვებს ემსახურება, საბავშვო ბაღის გახსნის

დღიდან არ არის შეცადინეობისათვის საჭირო ნორმალური პირობები: არა აქვთ მაგიდები, არც ერთი სკამი; მის მაგივრად ხმაირბენ კუსტარულად შექმნილ გრძელ სკამს, რომელიც მეტად მძიმეა.

სამტრედიის №№ 1, 2, 4, სოფ. კულაშის ჩაის საწნები ფაბრიკის, სოფ. ბაძგნარის სამშენებლო კომბინატის, სოფ. ილორის მეფრინველეობის საბჭოთა მეურნეობის საბავშვო ბაღების ყველა ჯგუფში ერთი და იგივე სიმაღლის სკამები და მაგიდები აქვთ. შენობის სივიწროვის გამო ყველა საბავშვო ბაღში არ ეწყობა დღის ძილი. არის შემთხვევა, როდესაც საწოლების საკმაო რაოდენობის უქონლობის გამო ბავშვების ერთი ნაწილი ვერ იძინებს. აბაშის № 1 და სოფ. ზანათის საბავშვო ბაღებში არის მოწყობილი დღის ძილი, მაგრამ არა აქვთ ბალიშები.

არ ექცევა ყურადღება ოთახების გაფორმებას. გეგეკორის რაიონის სოფ. ვედიტკარის ჩაის საბჭოთა მეურნეობის საბავშვო ბაღის „გაფორმება“ მხოლოდ კედლებზე გაკრულ ჟურნალ-გაზეთებიდან ამოკრილი, გაყვითლებული სურათებით ამოიწურება; თანაც ეს სურათები მეტად მალაა მოთავსებული; კედლებზე გაკრულია მცდარად გადაწერილი პლაკატები—„ადამიანი დიდებულნი რამ არის“ (მ. გორკი). ამგვარივე უგემოვნება ბატონობს შემოწმებული რაიონების თითქმის ყველა საბავშვო ბაღში.

არ ექცევა ყურადღება ბუნების კუთხეების მოწყობა-გაფორმებას, მათი ცოცხალი ობიექტებით (თევზი, თუთიყუში, კურდღელი) შევსებას. ყვავილები თუნუქის ყუთებში აქვთ მოთავსებული.

ბავშვებში არაა გამომუშავებული სათამაშოების მოვლისა და წიგნის სიყვარულის ჩვევა. სათამაშოები ჯგუფის ყველა კუთხეშია მობნეული, კარადებშიც უწესრიგობაა, წიგნების ნაწილი ყდაშემოგლეჯილი და დახეულია. ცხაკაიას რაიონის ძველი სენაკის მელორეობის საბჭოთა მეურნეობის საბავშვო ბაღში (გამგე ე. წულეისკირი) შერეულ ჯგუფში საახალწლო დღესასწაულისათვის მოსართავად შემოტანილი ხმელი ტოტები დღესაც ჯგუფში ყრია.

აღმზრდელთა და ტექნიკური პერსონალის ჩაცმულობა არ პასუხობს დაწესებულ მოთხოვნებს (ცხაკაიას ჩაის ფაბრიკის საბავშვო ბაღი).

საბავშვო ბაღების უმეტესობა შეგუებულ შენობაშია მოთავსებული, მაგრამ ისინი სიძველისა და სივიწროვის გამო ვერ აკმა-

ყოფილებენ სკოლამდელ დაწესებულებებში ბავშვთა ჩაბმის მო-  
თხოვნილებებს. ცხაკაიას რაიონის №№ 1, 2, 4, 5, 7 საბავშვო  
ბაღებში, ბორჯომის რაიონის № 2, დაბა წალვერის, ბაკურიანის  
ლიკანის, გეგეჭკორის რაიონის სოფ. ინჩურის, სალხინოს, ბანძის,  
დიდი ჭყონის, სამტრედიის № 4, სოფ. ბაძგნარის სამშენებლო  
კომბინატის, ცხაკაიას № 6, აბაშის რაიონის სოფ. მარნის საბავშვო  
ბაღების შენობები მეტად მოძველებული და ნესტიანია, იატაკი  
ჩამტვრეულია, კიბე, კარები, სახურავი უვარგისია, საძირკველი  
წყლით არის სავსე და გადაუდებელ რემონტს საჭიროებს.

ეზოების უმეტესი ნაწილი შეუღობავია, არ ხდება მათი და-  
მუშავება, სასპორტო იარაღებით მოწყობა. სამტრედიის რაიონის  
საბავშვო ბაღების ეზოები, რომლებიც ტიპიურ შენობაშია მოთავ-  
სებული, მოუწყვსრიგებელია. ბორჯომის № 1 საბავშვო ბაღის ეზო  
შეუღობავია და მეზობლად მდებარე სკოლის ფეხბურთის მოედანს  
უერთდება, შენობა ქუჩის პირად მდებარეობს და აღმზრდელებს  
საფრთხის თავიდან ასაცილებლად ბავშვები ეზოში არ ჩაჰყავთ.

შემოწმებული რაიონების თითქმის ყველა საბავშვო ბაღს  
საპირფარეშო შენობიდან მოშორებით აქვს. არის ისეთი შემთხ-  
ვევებიც, როდესაც ტიპიურ შენობაში მოთავსებული საბავშვო  
ბაღების კანალიზაცია არ არის წესრიგში, არ ექცევა სათანადო  
ყურადღება სანიტარულ-ჰიგიენური პირობების დაცვას (ხაშურის  
რაიონის სურამის ბავა-ბაღი).

არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული საბავშვო ბაღებში  
ბავშვების კვებისა და პროდუქტებით მომარაგების საქმე. რეგუ-  
ლარულად არ ხერხდება მათი მომარაგება ბოსტნეულით (კარტო-  
ფილი, ხახვი, კომბოსტო, მწილი), რძის პროდუქტებიდან არღებუ-  
ლობენ არაქანს, ხაჭოს; ამიტომ მენიუ ერთფეროვანია. არის შე-  
მთხვევა, როდესაც ბავშვებს ერთი სახის კერძებს აძლევენ, პირველ  
ან მეორე კერძად კი გულსხმობენ ტ. ბილეულს; დილით არ ეძლევათ  
ცხელი საუზმე. აბაშის რაიონის საბავშვო ბაღებში იშვიათად აქვთ  
წვნიანი კერძები, ერთფეროვანია სამხარცი—თითქმის ყოველთვის  
ბრინჯის ან მანანის ბურლულის ფაფა ეძლევათ. სამტრედიის რაი-  
ონის №№ 2, 4 საბავშვო ბაღებში პირველ კერძად აძლევენ წვეს,  
მეორე კერძად კვერცხს. ილორის საბჭოთა მეურნეობის საბავშვო  
ბაღში სადილი შედგება ერთი სახისაგან—სოუსი ან ხარჩო; საკვების  
კალორიანობის გამოანგარიშების დროს არ ექცევა ყურადღება ცი-  
ლების, ცხიმებისა და ნახშირწყლების თანაფარდობას. მაგალითად,

ხაშურის რაიონის ბაგა-ბაღში მენიუს შემოწმებამ დაადასტურა, რომ საკვებში ჭარბობს ნახშირწყლების შემადგენლობა.

საბავშვო ბაღებიდან მხოლოდ საუწყებო ბაღებს საექიმო შტატი და ერთი ექთანი, რის გამოც საბავშვო ბაღების უმრავლესობაში სამედიცინო მომსახურება არადაამაკმაყოფილებელია (სამტრედიის №№ 2, 3, სოფ. ბაძგნარის-სამშენებლო კომბინატის, დიდი ჯიხაიშის, ილორის საბჭოთა მეურნეობის, ბორჯომის № 2, წალვერის და სხვ. საბავშვო ბაღები), მართალია, პოლიკლინიკიდან მათზე ექიმი ან ექთანია მიმაგრებული, მაგრამ ამ უკანასკნელთა საქმიანობა მხოლოდ პროფილაქტიკური აცრებით ამოიწურება. სანიტარულ-ჰიგიენურ მდგომარეობაზე დაწესებული არ არის კონტროლი, სისტემატურად არ წარმოებს თერმომეტრიზაცია, არ ექცევა ყურადღება საპირფარეშოების სისუფთავეს. არავითარი მუშაობა არ ტარდება ფიზიკურად სუსტ ბავშვებთან.

როგორც განათლების სამინისტროს სისტემის, ასევე სხვა უწყებების საბავშვო ბაღებში ჯერ კიდევ უადგილი აქვს საშუალო ზოგადი განათლების მქონე პირთა აღნიშვნას. გეგეჭკორის რაიონის სოფ. ვედიტყარის ჩაის საბჭოთა მეურნეობის ბაგა-ბაღში საშუალო ზოგადი განათლების მქონე ორი აღმზრდელი დაინიშნა. კიდევ მეტი, სხვა უწყებების საბავშვო ბაღებში კადრების შერჩევას არ უთანხმებენ განათლების განყოფილებას. სამტრედიის რაიონის, სოფ. ილორის საბჭოთა მეურნეობის საბავშვო ბაღის გამგე აგრონომია, ხოლო ბაგა-ბაღის გამგე მათემატიკოსი. შემოწმებული რაიონებიდან აღმზრდელები იგზავნებიან კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებზე, მაგრამ ვაგზავნილთა რიცხვი მცირეა.

განათლების განყოფილებები ნაკლებ ყურადღებას აქცევენ სკოლამდელ დაწესებულებათა კარგი მუშაკების წახალისება-და-ჯილდოებას.

### ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. ცხაკაიას, ბორჯომის, სამტრედიის, გეგეჭკორის, აბაშის, ხაშურის განათლების განყოფილებებმა (გამგეები კ. ძნელაძე, კ. შარტავა, შ. ცანავა, ბ. მინჯია, ნ. ფოჩხუა, კ. ნადირაძე):

ა) სახალხო განათლების საბჭოს სხდომებზე განიხილონ და დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი ამ ბრძანებაში აღნიშნულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად;

ბ) იმ აღმზრდელებისა და მუსიკის ხელმძღვანელთა მიმართ (განურჩევლად უწყებრივი დაქვემდებარებისა), რომლებიც ზერე-

ლედ მუშაობენ და თავს ვერ ართმევენ საქმეს, განახორციელონ სათანადო ზომები;

გ) სხვა უწყების სკოლამდელ დაწესებულებათა მატერიალური ბაზის განმტკიცების, ეზო-გარემოს მოწყობისა და კაღრების სწორად შერჩევის მიზნით მკიდრო, საქმიანი კონტაქტი დაამყარონ მათ ხელმძღვანელობასთან და ერთობლივად იზრუნონ ამ დაწესებულებათა კეთილმოწყობისათვის;

დ) მათ მიერ გატარებული ზომების შესახებ აცნობონ განათლების სამინისტროს მწლის ოქტომბრის ბოლომდე.

2. სკოლამდელი აღზრდის განყოფილებამ (ამხ. გ. აბღუშელი-შვილი) კონტროლი დააწესოს ამ ბრძანების შესრულებაზე.

საქართველოს სსრ განათლების

მინისტრის მოადგილე უშ. თბოლაძე

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1968 წ. 19 ივლისის ბრძანება № 451

### 1968 წელს ახალგაზრდა სპეციალისტების სამუშაოზე მოწყობის შესახებ

გავეცანი რა მიმდინარე წელს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს განკარგულებაში გადმოცემულ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, საქართველოს სსრ პედაგოგიური და ფიზკულტურის ინსტიტუტების კურსდამთავრებულთა სამუშაოზე განაწილების შედეგებს, აღვნიშნავ, რომ 1968 წელს ახალგაზრდა სპეციალისტების სამუშაოზე განაწილების საქმეში საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და უმაღლესი პედაგოგიური სასწავლებლების მუშაკებთან ერთად ფართო მონაწილეობა მიიღეს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონებისა და ქალაქების განათლების განყოფილებათა გამგებმა და სხვა ხელმძღვანელმა მუშაკებმა.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს განკარგულებაში გადმოცემული უმაღლესი განათლების მქონე ახალგაზრდა სპეციალისტებიდან დღეისათვის სამუშაოზე განაწილებულია 1.000-დე სპეციალისტი.

ახალგაზრდა სპეციალისტების სამუშაოზე დროულად გამოცხადებისა და ადგილებზე მათი დამაგრების მიზნით,

#### ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. რაიონებისა და ქალაქების განათლების განყოფილებათა გამგებმა:

ა) სასწავლო წლის დაწყებამდე მოაწიონ დამწყებ მასწავლებლებთან ორგანიზებულად შეხვედრა, გააცნონ მათ სკოლისა და მასწავლებლის წინაშე მდგომი ახალი ამოცანები;



ბ) უზრუნველყონ ახალგაზრდა სპეციალისტების დროულად გამგზავრება სამუშაო ადგილზე;

გ) დამწყებ მასწავლებელთათვის პედაგოგიურ-მეთოდური და სასწავლო აღმზრდელობითი მუშაობის პრაქტიკულ საკითხებზე საჭირო დახმარების გასაწევად ფართოდ გამოიყენონ განათლების განყოფილებებისა და მეთოდური კაბინეტის მუშაკები და დახელოვნებული მასწავლებლები;

დ) დამწყები მასწავლებლები უზრუნველყონ ნორმალური პედაგოგიური დატვირთვით და სოფლად მივლინებული მასწავლებლები კი უფასო კომუნალური მომსახურებით (ბინით, გათბობითა და განათებით);

ე) დაწყებით კლასებში მასწავლებლებად პირველ რიგში დანიშნონ მათ განკარგულებაში მივლინებული უმაღლესი განათლების მქონე დაწყებითი განათლების ფაკულტეტის კურსდამთავრებული ახალგაზრდა სპეციალისტები;

ვ) კატეგორიულად აღკვეთონ ახალგაზრდა სპეციალისტებისათვის სამუშაოდან განთავისუფლების და ერთი სკოლიდან მეორეში გადაყვანის შესახებ მომართვებისა და ბრძანებათა ასლების ხელზე გაცემა.

2. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგებმა:

ა) მიმდინარე წლის 20 სექტემბრამდე წარმოადგინონ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საგზურის მიღების შესახებ დასტური [და წერილობითი ანგარიში თითოეული ახალგაზრდა სპეციალისტის სამუშაოზე გამოცხადებისა და მუშაობის დაწყების შესახებ. ამავე რიცხვისათვის, წარმოადგინონ დამწყებ მასწავლებლებთან ჩატარებული მუშაობის შესახებ წერილობითი ინფორმაცია;

ბ) მიმდინარე წლის 15 სექტემბრამდე აცნობონ უნივერსიტეტისა და ინსტიტუტების რექტორებს თითოეული ახალგაზრდა სპეციალისტის სამუშაოზე გამოცხადებისა და მუშაობის დაწყების შესახებ; ამავე რიცხვისათვის გადაუგზავნონ მათ სამუშაოზე გამოცხადებულ ახალგაზრდა სპეციალისტის საგზურის მიღების შესახებ დასტური;

გ) უმაღლესი მასწავლებლის [დამთავრებიდან სამი წლის გასვლამდე არ მიიღონ სამუშაოზე] ისეთი ახალგაზრდა სპეციალისტი,

რომელსაც არ ექნება საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საგზური, ან უმაღლესი სასწავლებლის რექტორის ცნობა (ფორმა № 3) იმის შესახებ, რომ ახალგაზრდა სპეციალისტს მუდმივი აქვს სამუშაოზე დამოუკიდებლად მოწყობის უფლება;

დ) ახალგაზრდა სპეციალისტი, როგორც წესი, ვალდებულია ადგილზე იმუშაოს არანაკლებ სამი წლისა, მაგრამ თუ იგი არ გამოცხადდა სამუშაოზე, ან მისი განთავისუფლება სხვადასხვა მიზეზების გამო, სამ წელზე ადრე აუცილებელია, მათი სამუშაოდან განთავისუფლების საკითხი დააყენონ (გადაწყვიტონ) ახალგაზრდა სპეციალისტის მიერ მიღებული გადასაყვანი ხარჯების დაბრუნების შემდეგ.

**3. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კადრების განყოფილებამ (ი. კვაჭაძემ):**

ა) მიმდინარე წლის 20 აგვისტომდე დაამთავროს დღემდე გაუნაწილებელი ახალგაზრდა სპეციალისტების სამუშაოზე დანიშვნა;

ბ) კონტროლი დაწესოს ამ ბრძანების შესრულებაზე და შედეგები მომახსენოს პერიოდულად.

**ხაფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1968 წლის 19 ივლისის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების  
მინისტრის მოადგილე უშ. ობოლაძე

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1968 წ.  
25 ივლისის ბრძანება № 459

რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო ხაშუალო სკოლები  
IX—X კლასებში დაწყებითი სამხედრო მომზადების შემოღების  
შესახებ

ზემდგომი ორგანოების დადგენილების შესასრულებლად,  
ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. შემოღებულ იქნეს დაწყებითი სამხედრო მომზადება 1968 წლის 1 სექტემბრიდან რესპუბლიკის 69 რაიონისა და ქალაქის თითო საშუალო სკოლის IX—X კლასების მოსწავლე ვაჟებთან და გოგონებთან კვირაში ორ-ორი საათის, ხოლო X კლასში, გარდა ამისა, — სამხედრო ტექნიკურ მომზადებაში ფაკულტატიური მეცადინეობა 70 საათის რაოდენობით.

2. ზემოაღნიშნული სკოლებისათვის დაწესდეს სამხედრო-ტექნიკური მომზადების სათანადო სპეციალობანი.

3. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონებისა და ქალაქების განათლების განყოფილებათა გამგებმა:

ა) გაატარონ სათანადო ღონისძიებანი დაწყებითი სამხედრო მომზადების მაღალხარისხოვნად ჩატარების უზრუნველსაყოფად. მიაღწიონ იმას, რომ საშუალო სკოლის მოსწავლე ვაჟებს სწავლების პროცესში გამოუმუშავდეთ ცალკეული ჯარისკაცის მომზადების ფარგლებში პრაქტიკული უნარ-ჩვევები, რათა ერთ-ერთ სამხედრო-ტექნიკურ სპეციალობასა და სამოქალაქო თავდაცვის საფუძვლებში მიიღონ აუცილებელი ცოდნა, რომ შეიარაღებულ ძალებში გაწვევისას შეეძლოთ მოკლე დროში დაეუფლონ თანამედროვე იარაღსა და საბრძოლო ტექნიკას;

ბ) ავტომატური იარაღიდან საბრძოლო ვაზნებით სროლის სწავლება ჩატარდეს მხოლოდ სამხედრო ნაწილების სასწავლო და დოსააფის ტირებში, რომლებსაც ექნებათ სათანადო მოწყობილობები და სადაც ურყევად იქნება დაცული სროლის დროს უსაფრთხოების წესები;

გ) მიიღონ ზომები სკოლებში დაწყებითი სამხედრო მომზადების აუცილებელი სასწავლო-მატერიალური ბაზის შესაქმნელად. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1968 წლის 16 ივლისის № 443 ბრძანების შესაბამისად მოაწყონ სამხედრო კაბინეტები, სამხედრო-სასწავლო იარაღებისა და ქონების შესანახი საწყობები და იქ, სადაც ეს შესაძლებელია, შექმნან სპეციალური კლასები სამხედრო-ტექნიკურ მომზადებაში მეცადინეობის ჩასატარებლად;

დ) დააყენონ საკითხი აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომის, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების წინაშე, რათა განიხილონ საკითხი ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლებში მოსწავლეთა დაწყებითი სამხედრო სწავლების შემოღების შესახებ და პრაქტიკულად გაატარონ ღონისძიებანი 1968 წლის 1 სექტემბრიდან სამხედრო მომზადების სწავლებისათვის საჭირო ნორმალური პირობების შესაქმნელად;

ე) აღნიშნული ბრძანება განიხილონ ადგილობრივი სამხედრო კომისარიატების, სამოქალაქო თავდაცვის შტაბებისა და დოსააფის კომიტეტების წარმომადგენლებთან ერთად და განახორციელონ ერთობლივი ხელმძღვანელობა დაწყებითი სამხედრო მომზადების ორგანიზაციასა და მის მაღალხარისხოვან ჩატარებაზე.

#### 4. საშუალო სკოლის დირექტორებმა:

ა) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ სკოლებში დაწყებითი სამხედრო მომზადებისათვის სათანადო სასწავლო-მატერიალური ბაზის შექმნას, ამ საგანში სწავლების მაღალ ხარისხს და სამხედრო ხელმძღვანელებისადმი მეთოდურ დახმარებას;

ბ) გააძლიერონ მოსწავლეთა შორის სამხედრო-პატრიოტული მუშაობა და ყოველმხრივ ხელი შეუწყონ სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალებში სამსახურისათვის ახალგაზრდობის მომზადებას;

გ) სანიმუშოდ მოაწყონ დაწყებითი სამხედრო მომზადების სასწავლო პროცესი, მიაღწიონ იმას, რომ აღნიშნული სკოლები

გახდნენ დადებითი გამოცდილების დასაყრდენ (საბაზო) პუნქტებად, რაიონების. ქალაქების იმ სკოლებისათვის, რომლებშიც 1969—1972 წლებში განხორციელდება დაწყებითი სამხედრო მზადება.

5. დაწყებითი სამხედრო მომზადების საინსპექტორო ჯგუფმა (ამხ. ა. ორახელაშვილი):

ა) გაუწიოს ხელმძღვანელობა მოსწავლეთა დაწყებით სამხედრო მომზადებას, რეგულარულად შეამოწმოს სახალხო განათლების განყოფილებებისა და საშუალო სკოლების მიერ ამ მიმართებით ჩატარებული მუშაობა და შედეგები მოახსენოს კოლეგიას;

ბ) გამოსაცემად მოამზადოს დაწყებითი სამხედრო მომზადების პროგრამითა და ტაბელით გათვალისწინებული საჭირო მეთოდური დამუშავებანი, სასწავლო პლაკატები, ფოტოსტენდები და თვალსაჩინო მასალები;

გ) გაატაროს ღონისძიებანი, რომლებიც სავსებით უზრუნველყოფენ სკოლების მიერ დაწყებითი სამხედრო მომზადების საპროგრამო მასალის შესრულებას.

6. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მომარაგებისა და დამხმარე წარმოებათა სამმართველომ (ამ. ს. არველაძე):

ა) სასწავლო-საწარმოო სახელოსნოს მეშვეობით საჭირო რაოდენობით დაამზადოს დაწყებითი სამხედრო მომზადების პროგრამითა და ტაბელით გათვალისწინებული სასწავლო პლაკატები, ფოტოსტენდები, სქემები და თვალსაჩინო მასალები, რომელსაც გამოსაცემად მოამზადებს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს, რესპუბლიკის სამხედრო კომისარიატისა და სამოქალაქო თავდაცვის შტაბის სპეციალისტებისაგან შემდგარი ავტორთა ჯგუფი (ა. ორახელაშვილი, მ. კინჭურაშვილი, თ. ხერხეულიძე, ნ. მუსერიძე, გ. ქართველიშვილი, ლ. ნადირაძე, თ. ჩიტაძე);

ბ) აღნიშნულ სამუშაოთა შესრულებისათვის სასწავლო-საწარმოო სახელოსნო უზრუნველყოს სათანადო რაოდენობის მასალებით.

7. მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტმა (ამხ. თ. ხახაშვილი) 1969 წლის მასწავლებელთა საკურსო ღონისძიებათა ვადამზადების გეგმაში გაითვალისწინოს სამხედრო ხელმძღვანელების, სამხედრო-ტექნიკური მომზადების, სამოქალაქო თავდაცვისა

და სანიტარული მომზადების მასწავლებლების სასწავლო-მეთოდური შეკრებების და კურს-სემინარების ჩატარება.



8. აღნიშნული ბრძანება განხილულ იქნეს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის აკადემიის ასსრ განათლების სამინისტროების კოლეგიების, სამხრეთ ოსეთის ა/ო, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა საბჭოების სხდომებზე და მოხსენებითი ბარათი გატარებულ ღონისძიებათა შესახებ წარმოდგენილ იქნეს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროში ა/წლის 5 სექტემბრამდე.

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1968 წლის 25 ივლისის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების  
მინისტრის მოადგილე უ.შ. ობოლაძე

## О ПОРЯДКА ИСЧИСЛЕНИЯ ЗАРАБОТНОЙ ПЛАТЫ УЧИТЕЛЕЙ ЗАОЧНЫХ ОБЩЕОБРАЗОВАТЕЛЬНЫХ ШКОЛ И ЗАОЧНЫХ ОТДЕЛЕНИЙ ОБЩЕОБРАЗОВАТЕЛЬНЫХ ШКОЛ

### Разъяснение Министерства просвещения СССР

Министерство просвещения СССР, учитывая специфику организации учебного процесса в заочных общеобразовательных школах и заочных отделениях общеобразовательных школ, по согласованию с ЦК профсоюза работников просвещения высшей школы и научных учреждений разъясняет:

1. Тарификация учителей заочных общеобразовательных школ и заочных отделений общеобразовательных школ производится ежегодно к началу первого и началу второго учебных полугодий, исходя из фактического контингента учащихся на начало каждого полугодия.

В учебную нагрузку учителя включаются часы, отведенные на полугодие учебным планом на групповые и индивидуальные консультации, а также 70% часов, отведенных на прием устных и письменных зачетов.

2. При тарификации общее количество часов, включенных в учебную нагрузку, делится на число учебных недель полугодий. Исходя из полученного средненедельного объема учебной нагрузки, учителю определяется месячная заработная плата в соответствии с п. 45 Инструкции о порядке исчисления зара-

ботной платы работников просвещения № 398/II-18 от 4 сентября 1964 г.

Эта заработная плата выплачивается учителю ежемесячно независимо от фактической нагрузки в разные месяцы учебного полугодия.

По окончании каждого учебного полугодия часы педагогической работы, выполненной сверх объема учебной нагрузки, установленного при тарификации, оплачиваются дополнительно по часовым ставкам, согласно п. 46 Инструкции.

Учителям, у которых по независящим от них причинам, в частности, в результате отсева учащихся, уменьшается учебная нагрузка, заработная плата выплачивается в соответствии с п. 51 Инструкции.

3. Учителям русского, родного и иностранного языков, литературы и математики предусматривается доплата за проверку письменных работ, исчисляемая от в зависимости общего количества часов, включенных в учебную нагрузку, и числа учебных недель полугодия в соответствии с п. 70 Инструкции.

4. За время каникул учащихся, не совпадающее с очередным отпуском, оплата учителей производится из расчета заработной платы, установленной при тарификации, предшествующей началу каникул (п. 47 Инструкции).

5. Порядок оплаты, изложенный в пп 1—4 настоящего письма применяется к учителям, для которых данная работа является основной, к учителям школ и преподавателям средних специальных учебных заведений и учебных заведений профессионально-технического образования, работающим в данной школе по совместительству и к работникам из числа административно-хозяйственного и учебно-вспомогательного персонала данной школы, ведущим преподавательскую работу.

6. Работники предприятий, учреждений и организаций, привлекаемые к педагогической работе в заочной школе (заочном отделении), оплачиваются по часовым ставкам в соответствии с п. 46 Инструкции.

В таком же порядке оплачиваются учителя общеобразовательных школ, осуществляющие индивидуальное обучение прикрепленных к этим школам заочников.

34136320  
3087110000

Министерство просвещения СССР  
6 августа 1968 г.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1968 წ.  
15 აგვისტოს ბრძანება № 496

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1968 წლის  
7/VI—№ 370 ბრძანების—ზაფხულის პერიოდში მუშებისა და  
მოხამსახურეთა ბავშვების დახვეწების ორგანიზაციის თაობაზე  
—შეხვედრების მიმდინარეობის შემოწმების შედეგების შესახებ

შემოწმებით დადასტურდა, რომ საზაფხულო-გამაჯანსაღებელ  
ლონისძიებებზე გადასულ სკოლამდელ დაწესებულებათა ერთ  
ნაწილში მაღალ დონეზე მიმდინარეობს მუშაობა. ქ. თბილისის  
№ 3 ბაგა-ბაღის, №№ 11, 35, 43, 85 (მეშვიდე სამკერვალო ფა-  
ბრიკის), ბათუმის № 1 ნავთგადამმუშავებელი ქარხნის,  
ქ. ფოთის № 1 საბავშვო ბაღები (გამგეები—ბ. ბურდიაშვილი,  
თ. კილაძე, ვ. მიმინოშვილი, ნ. თოფურიძე, გ. ჯიქია, მ. მამაიაშვი-  
შვილი, პ. სულაბერიძე, ქ. კომახიძე) დიდი პასუხისმგებლობით  
ეკიდებიან ამ მნიშვნელოვანი ღონისძიების სრულყოფილად ჩატა-  
რების საქმეს. განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ დღის რეჟი-  
მის ზუსტად დაცვას, ბავშვთა ორგანიზმის გაკაჟებისათვის სათა-  
ნადო პირობების შექმნას—მათი ცხოვრების ორგანიზაციას ზაფხუ-  
ლის პერიოდში.

აღნიშნულ საბავშვო ბაღებში კარგადაა დაყენებული პედა-  
გოგიურ-აღმზრდელობითი მუშაობა. პედაგოგიური პერსონალი დაუ-  
ფლებულია გამაჯანსაღებელი მუშაობის მეოთხედსა და ხერხებს.  
აღმზრდელები ფართოდ იყენებენ მუშაობაში აგარაკის მდიდარ  
ბუნებას, მის სილამაზესა და მრავალფეროვნებას, რითაც ბავშვებს  
უღვიძებენ მშობლიური ბუნებისადმი სიყვარულს, ხელს უწყობენ  
მათი პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდას. მიმზიდველად და  
შინაარსიანად ატარებენ პაერზე გასეირნებებს და თამაშის სწორი  
ორგანიზაციით მოაერხებულად ახორციელებენ ბავშვთა ფიზიკურ  
განვითარებას, მათი ორგანიზმის გაკაჟებას, მორალური თვისებე-

ბის აღზრდას. წლის განმავლობაში მიღებული ცოდნის განმტკიცების მიზნით სისტემატურად ატარებენ რეჟიმით გათვლილ ნებულ თითო მეცადინეობას დღეში.

აღმზრდელები ნ. ნონიაშვილი, ლ. ბასკაკოვა, მ. კაკაბაძე, შ. ჩადუნელი, ე. ოკოევა (ქ. თბილისის № 3 ბაგა-ბაღი, № 13, ფეხსაცმელების ფაბრიკის № 40, კრწანისის, ზესტაფონის № 1 საბავშვო ბაღები) გამოირჩევიან გეგმიანი და ორგანიზებული მუშაობით.

დამაკმაყოფილებელია ზესტაფონის № 1 ბაგა-ბაღის, ცხაკაიას № 2 და ქობულეთის № 1 საბავშვო ბაღების (გამგეები—ქ. ნუცუბიძე, ც. გოგინავა, ც. ლომაძე) მუშაობა.

პედაგოგიურ კოლექტივთან ერთად მნიშვნელოვან მუშაობას ატარებს სამედიცინო პერსონალიც, აღსანიშნავია ქ. თბილისის №№ 2, 5 ბაგა-ბაღების, № 85 (მე-7 სამკერვალო ფაბრიკის) საბავშვო ბაღის ექიმების თ. ოშაყმაშვილის, კ. ბაქრაძისა და ვ. მარშანიას მუშაობა. ისინი დაულაღავი ენერგიით ემსახურებიან ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის საქმეს, სისტემატურად უტარებენ მათ გამაჯობებელ პროცედურებს. განსაკუთრებული პასუხისმგებლობით ეკიდებიან ფიზიკურად სუსტ ბავშვებთან მუშაობას, გარემოს ჰიგიენური პირობების, კვების ხარისხისა და მალალკალორიანობის დაცვას, აღნიშნულ სკოლამდელ დაწესებულებებში იშვიათია ბავშვთა დაავადების შემთხვევა.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, გამაჯანსაღებელ ღონისძიებებზე გადასულ ზოგიერთ სკოლამდელ დაწესებულებში შეინიშნება სერიოზული დარღვევები. მაგალითად, რუსთავის № 1 საბავშვო ბაღში 12 აღმზრდელიდან მხოლოდ ერთია საბავშვო ბაღის ძირითადი მუშაკი. განათლების განყოფილებამ (ს. როსნაძე) დღემდე ვერ უზრუნველყო აგარაკებზე საბავშვო ბაღების გაყვანა მუდმივი და გამოცდილი მუშაკებით. ანალოგიურ შემთხვევებს ადგილი აქვს სხვა ქალაქსა და რაიონში.


მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სსრ განათლების სასამინისტროს 1965 წლის 12 აგვისტოს № 873 ბრძანებაში ხაზგასმით აღინიშნა, ზოგიერთ საბავშვო ბაღში დღემდე გრძელდება აღმზრდელების დატვირთვა ორ-ორი განაკვეთით—12 საათი დღეში. (ქ. თბილისის №№ 18, 20 და ოჩამჩირის რაიონის ახალი კინდლის

ჩაის საბჭოთა მეურნეობის სბავშვო ბაღები). ქ. გორის საკონ-  
სერვო ქარხნის საბავშვო ბაღში აღმზრდელ ნ. ურიგაშვილს მუშა-  
ობა უხდება დღეში 12 საათს, ვინაიდან მის შემცველად მუშაობს  
ნული აღმზრდელი ლ. ბაზანდარაშვილი შვებულებში იმყოფება  
ზოგან შეინიშნება სხვა სახის დარღვევაც. მაგალითად, ქ. თბილი-  
სის № 88 საბავშვო ბაღის ქართულ ჯგუფში მუშაობს რუსული  
ჯგუფის აღმზრდელი ლ. გოლშტეინი, რომელიც ვერ ფლობს  
ქართულ ენას. ქ. ქუთაისის რკინიგზის საბავშვო ბაღის აღმზრ-  
დელი თ. ჯოჯუა სათანადოდ ვერ ფლობს აგარაკზე მუშაო-  
ბის მეთოდებსა და ზერსებს; მიზნობრივად ვერ იყენებს ჰაერზე  
გასეირნებას—ბავშვები თამაშობენ მუკერში, თვითონ კი სხვა საქ-  
მით არის დაკავებული; ბავშვების შემოწმებისას აღმოჩნდა, რომ  
უყურადღებობის გამო 30-დან 13-ს ჰქონდა სხვადასხვა სახის გამო-  
ნაყარი და ნაკაწრი.

მიუხედავად იმისა, რომ საბავშვო ბაღთან ერთად აკრძალუ-  
ლია სასკოლო ასაკის ბავშვების აგარაკზე გაყვანა, ზოგიერთი  
გამგე უხეშად არღვევს ამ წესს. მაგალითად, ოჩამჩირის რაიონის  
სოფ. ახალი კინდლის ჩაის საბჭოთა მეურნეობის საბავშვო ბაღის  
40 აღმზრდელიდან 17 სასკოლო ასაკისაა. ქ. რუსთავის № 10  
საბავშვო ბაღს აგარაკზე გაყვანილი ჰყავს 25 სკოლის ასაკის  
ბავშვი, ქუთაისის საკონსერვო ქარხნის საბავშვო ბაღს—15. ანა-  
ლოგიურ დარღვევებს ადგილი აქვს სხვანაირ საბავშვო ბაღშიც.

ზოგან დარღვეულია სანიტარულ-ჰიგიენური მინიმუმი, საძი-  
ნებელ ოთახებში სივიწროვება, საწოლები ეთმანეთზეა მიდგმული.  
ოჩამჩირის რაიონის № 2 ჩაის ფაბრიკისა და სამტრედიის რაიონ-  
ის სოფ. ილორის საბავშვო ბაღებში თანამშრომელთა ტანსაცმელი  
ბავშვების საწოლებზეა გადაკიდებული. ქ. ქუთაისის № 24 სა-  
ბავშვო ბაღში საძინებელი ოთახები არ არის იზოლირებული, რაც  
ინფექციის გავრცელების საშიშროებას ქმნის. ქობულეთის № 4  
საბავშვო ბაღში ადგილი აქვს ორ-ორი ბავშვის ერთად წოლის  
შემთხვევებს. ბათუმის ნავთვადამსხმელი ქარხნის ოჩამჩირის,  
სამტრედიის აგურის ქარხნის, სამტრედიის რაიონის სოფ.  
ილორის (გამგეები მ. ინასარიძე, ი. სამოილენკო, ქ. მალაქელი-  
ძე, ვ. ლუნდუა) ეზოებსა და შენობებში ანტისანიტარული მდგო-  
მარეობაა, მოუწესრიგებელია ბავშვთა პირადი ჰიგიენის საკითხი-  
კითხურის რუსული საბავშვო ბაღის აღმზრდელებს არ აქვთ ინ.

დივიდუალური პირსახოცები, ქ. თბილისის ტრიკოტაჟის ფაბრიკის № 93 საბავშვო ბალში პირსახოცები ქუჩუყიანია.



ზოგიერთ საბავშვო ბალში ნაკლები ყურადღება ექცევა მსახურე პერსონალის ჩაცმულობის საქმეს. ოჩამჩირის ჩაის ფაბრიკის № 2 საბავშვო ბალში აღმზრდელები სრულიად ფეხშიშველები დადიან ჯგუფებში. ხშირად სამედიცინო პერსონალსაც ვხვდებით თეთრი ხალათებით ქუჩებსა და სხვა ადგილებში.

თეთრიწყაროს რაიონის სოფ. ასურეთის საბავშვო ბალში ნაკლები ყურადღება ექცევა ბავშვების სწორ და რეგულარულ კვებას, საკვების მრავალფეროვნებას, ქ. რუსთავის № 10 საბავშვო ბალში—საკვების მიწოდების კულტურას. მაგალითად, კუთვნილი კარაქის ულუფას დამლაგებლები ზოგჯერ კოვზის გარეშე ხელით აკმევენ ბავშვებს, გალის რაიონის კოხორის საბჭოთა მეურნეობის საბავშვო ბალში (გამგე ნ. ჩარგაზია) ბავშვებს არ ეძლევათ სადილის შემდეგ კერძი, ოჩამჩირის ჩაის ფაბრიკის № 2 საბავშვო ბალში—ბორჩხს გაშლილი თევზით, ხოლო მეორე კერძს ლამბაქებით აძლევენ ბავშვებს.

გარდაბნისა და თეთრიწყაროს რაიონებში სკოლამდელი დაწესებულებები სუსტად მარაგდებიან ბოსტნეულით, ხილით, რძის ნაწარმით, რის გამო თეთრიწყაროს რაიონის ასურეთის საბავშვო ბალში ნორმით გათვალისწინებული 68 კაპიკის ნაცვლად დღეში 49 კაპიკსაც ვერ ითვისებენ.

ზოგიერთი რაიონის სანეპიდსადგური სათანადო პასუხისმგებლობით არ ეკიდება აგარაკზე გასაყვან ბავშვთა ჯანმრთელობის შემოწმების საქმეს. მაგალითად, ქ. თბილისის № 46 (გამგე ნ. ვართანოვა) საბავშვო ბალის აღსაზრდელი კ. მურადიანი, რომელსაც 3 თვის განმავლობაში არ უვლია საბავშვო ბალში, აგარაკზე—ვაყვანილ იქნა სურამში № 17 საბავშვო ბალთან (შ. ტყეშელაშვილი) ერთად, სადაც მოულოდნელად გარდაიცვალა (ინფარქტით). წალვერიდან ცხაკაიაში იქნა დაბრუნებული № 3 საბავშვო ბალის აღსაზრდელები მათა და ლუიზა ცეცხლაძეები იმის გამო, რომ ავად იყვნენ. ამ მხრივ ადგილი აქვს სხვა სახის დარღვევებსაც.

ზოგჯერ სანეპიდსადგურის ადგილობრივი ორგანოები საბავშვო ბალს ნებას რთავენ შეუფერებელ ბინის დაჭირავებაზე:

გურჯაანის № 1 საბავშვო ბაღის სასურსათო საწყობი მოთავსებულია შეშისა და ძველმანების ფიცრულში. აღნიშნული საბავშვო ბაღისა და ქ. თბილისის № 10 საბავშვო ბაღის თითოეული მოთავსებულია შეუფერებელ ოთახებში.

## ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. სკოლამდელ დაწესებულებათა ხელმძღვანელებმა გადაჭრით გააუმჯობესონ საზაფხულო-გამაჯანსაღებელ მუშაობაზე ხელმძღვანელობა. ყოველგვარი პირობა შექმნან ბავშვთა გაკაჟება-გამაჯანსაღებისათვის, სისტემატური დახმარება აღმოუჩინონ აღმზრდელებს, იბრძოლონ საბავშვო ბაღებში პედაგოგიურ-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესების, დღის რეჟიმის, სანიტარულ-ჰიგიენური პირობების დაცვისათვის;

2. განათლების განყოფილებათა გამგეებმა ბრძანებაში აღნიშნული ნაკლოვანებების შესახებ აცნობონ შესაბამის ადგილობრივ ორგანოებს, ერთობლივად განიხილონ საკითხი და მკაცრად დასაჯონ ის მუშაკები, რომლებიც გულგრილად მოეკიდნენ საზაფხულო-გამაჯანსაღებელი ღონისძიებების ჩატარების საქმეს, მიღებული ზომების შესახებ აცნობონ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მ/წლის 1 ოქტომბრამდე.

3. მიღებულ იქნას ცნობად, რომ საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს მიერ (ბრძანება № 130, 23/III-68 წ.) მიღებულია ზომები სკოლამდელ დაწესებულებათა კვების პროდუქტებით მომარაგების გაუმჯობესებისათვის;

4. ეთხოვოს საქართველს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს დაავალდებულოს ადგილობრივი სანეპიდსადგურები გადაჭრით გააუმჯობესონ აგარაკებზე გამსვლელი საბავშვო ბაღების აღსაზრდელთა ჯანმრთელობის შემოწმების საქმე; შეისწავლოს ქ. თბილისის № 46 საბავშვო ბაღის აღსაზრდელის კ. მურადიანის (რომელიც სურამში დასასვენებლად გაყვანილი ჰყავდა ქ. თბილისის № 17 საბავშვო ბაღს) ვარდაცვალების მიზეზი და საქმის კურსში ჩააყენოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო.

5. დაევალოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლამდელი აღზრდის განყოფილებას (გ. აბდუშელიშვილი) მ/წლის 1 ნოემბრამდე საგანგებოდ შეისწავლოს გამაჯანსაღებელ ღონისძიებებზე გადასულ სკოლამდელ დაწესებულებების კადრებით და-

დაკომპლექტება და საკითხი განსახილველად წარმოადგინოს კო-  
ლეგიის სხდომაზე; თვალყურს ადევნოს ამ ბრძანების შესრულებას.

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს  
კოლეგიის 1968 წლის 8 აგვისტოს დადგენი-  
ლება.

საქართველოს სსრ განათლების  
მინისტრის მოადგილე **ი. ბეროზაშვილი**

**საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1968 წ.  
2 ნოემბრის ბრძანება № 538**

**ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო და რვაწლიანი სკოლების  
V—VI—VII კლასების ხელმძღვანელთა სამოქალაქო თავდაცვის  
რესპუბლიკურ კურსებზე გადამზადების შესახებ**

სადირექტივო ორგანოების დადგენილების შესასრულებლად,  
გ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1

1968 წლის 16 სექტემბრიდან 28 დეკემბრამდე სოფ. საგურამოში სამოქალაქო თავდაცვის რესპუბლიკური კურსების ბაზაზე ჩატარდეს საშუალო და რვაწლიანი სკოლების V—VI—VII კლასების ხელმძღვანელთა 6-დღიანი რესპუბლიკური კურსები.

2

კურსებზე მისავლინებულ მასწავლებელთა კონტინგენტი დამტკიცდეს.

3

რაიონების (ქალაქების) განათლების განყოფილებათა გამგებმა:

ა) თანახმად დამტკიცებული გეგმისა შეარჩიონ საშუალო და რვაწლიანი სკოლების V—VI—VII კლასების ხელმძღვანელები (უპირატესად ახალგაზრდა ჯანმრთელი მასწავლებლები) და დროულად მიავლინონ კურსებზე სოფ. საგურამოში;

ბ) კურსებზე მივლინებულ მასწავლებლებს ადგილებზე მიეცეთ სამივლინებო ხარჯები (გზა ორივე მიმართულებით; ბინის ხარჯები 5 დღისა, ხოლო იმ მასწავლებლებს, რომელთა თვიური ხელფასი არ აღემატება 100 მანეთს, მიეცეთ დღიური 66 კაპ. რაოდენობით);

გ) კურსებზე მივლინებულ მასწავლებლებს კურსებზე ყოფნის პერიოდში ადგილზე შეუნარჩუნდეთ საშუალო ხელფასი.



4

ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო და რვაწლიანი სკოლების V—VI—VII კლასების ხელმძღვანელების; რომელთა გადამზადება დაგეგმილი არაა რესპუბლიკურ სამოქალაქო თავდაცვის კურსებზე სოფ. საგურამოში, გადამზადება მოეწყოს ადგილებზე, აღნიშნული ღონისძიების ნორმალურად ჩატარების მიზნით, წინასწარ გამოიყოს და სათანადოდ მოეწყოს სასკოლო შენობები საჭირო მოწყობილობითა და ინვენტარით.

5

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს დაწყებითი სამხედრო მომზადების ინსპექტორთა ჯგუფმა (ამხ. ა. ორახელაშვილი) ქმედითი კონტროლი დააწესოს ამ ბრძანების შესრულებაზე და შედეგები პერიოდულად მომახსენოს.

საქართველოს სსრ განათლების  
მინისტრი **თ. ლაშქარაშვილი**

**საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1968 წ.  
18 სექტემბრის ბრძანება № 572**

**რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლების  
IX—X კლასებში 1969 წლის 1-ლ სექტემბრიდან დაწყებითი  
სამხედრო მომზადების შემოღების შესახებ**

ზემდგომი ორგანოების დადგენილების შესასრულებლად,  
**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ**

1. შემოღებულ იქნეს დაწყებითი სამხედრო მომზადება 1969 წლის 1 სექტემბრიდან რესპუბლიკის 69 რაიონისა და ქალაქის თითო საშუალო სკოლის IX—X კლასების მოსწავლე ვაჟებთან და გოგონებთან.

2. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონებისა და ქალაქების განათლების განყოფილებათა გაჩვენებამ:

ა) ა/წლის 25 სექტემბრამდე შეარჩიონ მრავალკომპლექტიანი საშუალო სკოლა, რომელშიც 1969 წლის 1 სექტემბრისათვის IX—X კლასების რაოდენობა იქნება არანაკლებ ოთხისა და კარგად იქნება მოწყობილი სასწავლო-მატერიალური ბაზა—დაწყებითი სამხედრო მომზადების ჩასატარებლად;

ბ) აღნიშნულ სკოლაში სანიმუშოდ მოაწყონ მოსწავლეთა დაწყებითი სამხედრო სწავლება, ისე, რომ იგი გახდეს დადებითი გამოცდილების დასაყრდენ (საბაზო) პუნქტად რაიონის (ქალაქის) ყველა იმ სკოლისათვის, რომელშიც განხორციელდება დაწყებითი სამხედრო მომზადება 1970—72 წლებში.

გ) დაწყებითი სამხედრო სწავლების შემოღებასთან დაკავშირებით საჭირო ცნობები გამოგზავნონ განათლების სამინისტროში ა/წლის 27 სექტემბრამდე;

დ) საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ინსპექტორთა ვეგუფმა (ამხ. ა. ორახელაშვილი) ქმედითი დახმარება გაუწიოს

სახალხო განათლების ორგანოებსა და სკოლებს დაწყებითი საბავშვო სწავლების ორგანიზაციის საქმეში და გატარებულ ღონისძიებებთან შესახებ პერიოდულად მომახსენოს.

საბავშვო  
სწავლების  
ორგანიზაციის  
საქმეში  
და გატარებულ  
ღონისძიებებთან  
შესახებ  
პერიოდულად  
მომახსენოს.

საქართველოს სსრ განათლების  
მინისტრის მoadგილე უ. აბოლაძე

**საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1968 წ.  
24 ოქტომბრის ბრძანება № 579**

**რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო და რვაწლიანი  
სკოლების V—VI—VII კლასებში სამოქალაქო თავდაცვის საგნის  
სწავლების შესახებ**

სადირექტივო ორგანოების ბძანების შესასრულებლად,  
ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო და რვაწლიანი სკოლების V—VI—VII კლასების მოსწავლეებთან სამოქალაქო თავდაცვაში მეცადინეობა დაიწყოს 1969 წლის 15 იანვრიდან, ე. ი. მას შემდეგ, როცა ზემოაღნიშნული კლასების ყველა ხელმძღვანელი გადამზადებული იქნება სამოქალაქო თავდაცვის სპეციალურ კურსებზე.

2. აფხაზეთისა და აჭარის ასრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონებისა და ქალაქების განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) სამოქალაქო თავდაცვის საგნის სწავლებისას ზუსტად იხელმძღვანელონ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1967 წლის 27 ნოემბრის № 1323 ბრძანებით (იხ. კრებული № 11—12).

ბ) მოქმედი დებულების შესაბამისად (იხ. კრებული, 1967 წ. № 11—12) 1968 წლის 5 ოქტომბრამდე გადაახალისონ სახალხო განათლების განყოფილებებთან არსებული სამოქალაქო თავდაცვის მასწავლებელთა მეთოდური საბჭოები და ადგილობრივ სამოქალაქო თავდაცვის შტაბებთან ერთად წარმართონ მათი მუშაობა.

3. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს დაწყებითი სამხედრო მომზადების ინსპექტორთა ჯგუფმა (ამხ. ა. ორახელაშვილი):

ა) 1969 წლის იანვრამდე უზრუნველყოს სამოქალაქო თავდაცვის ახალი პროგრამების თარგმნა-გამოცემა;

ბ) სისტემატური დახმარება გაუწიოს სკოლებს სამოქალაქო თავდაცვის სწავლების ორგანიზაციაში და მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტთან ერთად უზრუნველყოს გეგმით გათვალისწინებული სამოქალაქო თავდაცვის მეთოდური საბჭოების თანამჯდომარეთა მოკლევადიანი კურს-სემინარების ჩატარება.

საქართველოს სსრ განათლების

მინისტრის მოადგილე უშ. ობოლაძე

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1968 წ. 8 ოქტომბრის ბრძანება № 618

### ნორჩ მათემატიკოსთა მეორე ტე რესპუბლიკური ოლიმპიადის შედეგებისა და მეცამეტე რესპუბლიკური ოლიმპიადის ჩატარების ღონისძიებათა შესახებ

აღვნიშნავ, რომ 1967—68 სასწავლო წელს ნორჩ მათემატიკოსთა მეორე ტე რესპუბლიკური ოლიმპიადის ზონალურ ტურში მონაწილეობა მიიღო 3250 მოსწავლემ, ხოლო რესპუბლიკურ ტურში 760 მოსწავლემ.

ზონალურ ტურში დაბალი მომზადება გამოავლინეს თბილისის 33-ე და 21-ე, სოხუმის 1-ლი, მე-6, ვაგრის მე-2, მე-4, ყვარლის მე-2, ბორჯომის რუსული, ცხინვალის მე-2 და მე-6, ზნაურის რუსული, ვანათის, წალენჯიხის 1-ლი, ლანჩხუთის 1-ლი და მე-2, ზუგდიდის რაიონის ჭაქვინჯის, ბოლნისის რაიონის დარბაზის, ჩხოროწყუს რაიონის ლესიჭინისა და სხვა რაიონების საშუალო სკოლების X კლასების მოსწავლეებმა.

უნდა აღინიშნოს, რომ ქ. ჭიათურისა და ხობის რაიონის სკოლების ყველა მოსწავლემ ზონალურ ტურში მაღალი შეფასება მიიღო, მაგრამ რესპუბლიკურ ტურში ამ მოსწავლეებმა ერთი და ორი ქულა დაიმსახურეს. ასევე დაბალი მომზადება გამოამჟღავნეს დასკვნით ტურში თბილისის 62-ე, 25-ე, აბაშის 1-ლი, მე-2, ბოლნისის რაიონის ფახრალის, გეგეჭკორის რაიონის სკოლა-ინტერნატის, მაიაკოვსკის რაიონის ნინოშვილის სახელობის, სამტრედიის მე-3, სამტრედიის რაიონის გომისა და სხვა რაიონების საშუალო სკოლების X კლასების მოსწავლეებმა.

ნორჩ მათემატიკოსთა რესპუბლიკურ ოლიმპიადაში მონაწილეთა შორის თავი გამოიჩინეს თბილისის ვ. მ. კომაროვის სახელობის ფიზიკა-მათემატიკური საშუალო სკოლა-ინტერნატის, 37-ე, 55-ე, 56-ე, 64-ე, მე-20, მე-100, რ/გზის 1-ლი, ქუთაისის მე-9,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

§ 1

**ა. ოლიმპიადაში წარმატებით მონაწილეობისათვის  
დაჯილდოებულ იქნენ პირველი ხარისხის სიგელით:**

1. მირზიაშვილი ვ. ფ.—თბილისის ფიზ. მათ. სკ. ინტ. მე-10  
კლ. მოსწავლე
2. შეხტერი ბ. ლ.—თბილისის 37-ე საშ. სკ. მე-10 კლ. მოს-  
წავლე
3. ბერიშვილი გ. შ.—თბილისის 42-ე საშ. სკ. მე-10 კლ.  
მოსწავლე
4. ხიმშიაშვილი გ. ნ.—თბილისის 42-ე საშ. სკ. მე-10 კლ.  
მოსწავლე
5. კიკნაძე ვ. ი.—თბილისის 42-ე საშ. სკ. მე-9 კლ. მოს-  
წავლე
6. მოროზოვი ა. ნ.—თბილისის 43-ე საშ. სკ. მე-9 კლ. მოს-  
წავლე
7. გამზაროვა ე. ა.—თბილისის 42-ე საშ. სკ. მე-8 კლ. მოს-  
წავლე
